



# დრამატურგია

ვურამ ბათიაშვილი

## რეზინის კედელი

დრამა ორ ნაწილად

მოქმედი პირნი

- არჩილი
- აბესალომი
- ჩხარტიშვილი
- ბიძინა
- მიხეილი
- ქეთინო
- ვაშალომიძე
- გიორგაძე
- ბოზი
- ავთო
- ვაშალომიძე

პირველი მოქმედება

ადრიანი დილაა, მაგრამ ჩოგბურთის კორტებზე უკვე ჩამოწოლილა ზაფხულის სიცხე. დილის ალხს ნოტიო მიწის, უფრო სწორად, ჩოგბურთის კორტებზე მოყრილი აგურის სველი ნაფხვენების სიგრილე ანელებს.

ყოველი მხრიდან რიტმულად ისმის ჩოგნის მარჯვედ ცემის ხმა. ძლიერად დარტყმული ბურთი ჩოგანს რომ მოხვდება, თასმები თითქოს სიმღერას იწყებენ. კორტებზე ჩოგნის მარჯვედ ცემა უფრო და უფრო ძლიერდება.

მოედანს ბიძინა მოადგა. თამაშს ინტერესით ადევნებს თვალს, თუმცა, ისიც ეტყობა, რომ ამ დილაადრიან თამაშის საყურებლად არ მოსულა — სხვა საზრუნავს მოუყვანია აქ.

**აბესალომი** (ბიძინა სწორედ მაშინ დაინახა, როცა ბურთი გამოუგორდა აქეთ და გაოცებულმა შესძახა). **ბიძინა? შენ აქ რა გინდა!**

**ბიძინა.** რა კარგად ურტყამთ, ბატონო აბესალომი!

**აბესალომი,** აქ ვის დაეძებ?

**ბიძინა.** ამიტომაც გამოიყურებით ჭაბუკოვით!

**აბესალომი.** ხუთი წლის წინ მართლა ვიყავი ბიჭივით. აქ რამ მოგიყვანა?

**ბიძინა** (მცირე პაუზის შემდეგ). **თქვენთან მოვიდე.**

**აბესალომი.** ჩემთან? (გაუკვირდა, ამიტომ თითქმის ჩაძიებით ჰკითხა.) **ნახევარ საათში სამსახურში ვერ მნახავდი?**

**ბიძინა.** **გნახავდით, მაგრამ... აქ სჭოზია საუბარი. იქ... (ამან კიდევ უფრო გააძლიერა აბესალომის ცნობისმოყვარეობა. ეს სახეზეც დაეტყო.) არა, ისეთი არაფერი.. უბრალოდ, აქ უფრო მოხერხებულა. იქ ათასი მოხოვნილი, ხელმოსაწერი ქაღალდი, ტელეფონი... (აბესალომი დაჟინებით შესტკერის. ამ მხერით მოკლედ თქმას თხოვს.) არა, ისეთი არაფერი-მეთქი, ხომ გითხარით.**

**აბესალომი.** **შენ რას მიედებ-მოედები? ამოიდე ხმა, თუ რამე გაქვს სათქმელი!** (ეს თითქმის ბრძანება იყო. მაგრამ ბიძინამ მაინც ჩვეული რიტმით განაგრძო. ამ ბრძანებას არაფერი ზეგავლენა არ მოუხდენია.)

**ბიძინა** (ხმადაბლა საიდუმლოდ). **ვაშალომიც დამადგა წუხელ თავზე.**

**აბესალომი.** **ვაშალომიც ვინ ოხერია?**

**ბიძინა.** **ფეხსაცმელების გაერთიანებიდან**

(აბესალომს ყურადღებით შესცქერის, გაახსენდა თუ არაო).

**აბესალომი.** ჰო, ვიცო. რა მინდაო?

**ბიძინა.** ამ დილას კიდეც გახსიკირიამ გავადგემა. შვიდი არ იქნებოდა.

**აბესალომი.** ეგ კიდეც ვინ არის?

**ბიძინა.** ნავთობპროდუქტები!

**აბესალომი.** ვიცო, ჰო, რამე ააწრიალათ?

**ბიძინა.** თუ რამე ამბავია ჩვენს თავს, გავაგებინეთო—(მიმოიხედა). თუ არადა, რას შევავთ და არ ტეხავთო (ბიძინას პუტუები, ღინჯი ლაპარაკი აბესალომს აშკარად არ მოეწონა და საყვედურიანი მზერა ესროლა). არჩილს ემდურიან, ხანციძეს.

**აბესალომი.** შეეშალა რამე?

**ბიძინა.** თვე დამთავრდა, მისულა ეს ხალხი. **აბესალომი** (შეაწყვეტინა). ჰო, დღეს შვიდი რიცხვია. რატო არაფერი ჩანს?

**ბიძინა.** მისულა ის ხალხი წესიერად, მიუტანია მისატანი, ჰო, როგორც არი...

**აბესალომი** (გაღიზიანებული). შენ რას მეთამაშობ, გავაგებდალ ვერ ილაპარაკებ?

**ბიძინა** (ამიტომ მოკლედ მოსკრა). არ აიღო!

**აბესალომი.** ვინ არ აიღო, რა არ აიღო, ქრისტიანულად ილაპარაკე!

**ბიძინა.** ის, რაც ყოველ თვეში მიაქვთ. არჩილს უარი უთქვამს. ახლა ის ხალხი შეწყუბულა. თუ რამე ხდება, გავაგებინეთო.

**აბესალომი.** რა უნდა ხდებოდეს, სულელი ხომ არა ხარ შენ!

**ბიძინა.** მე რა შუაში ვარ, ბატონო აბესალომი!

**აბესალომი.** იმ შუაში ხარ, რომ.. ჰო, რა შუაში ხარ შენ!

**ბიძინა** (არანაკლებ მომხიბლავი და იმპოზანტური, ვიდრე აბესალომი. ამასაც უხდება სპორტული კოსტიუმი). გამარჯობათ, ბატონო აბესალომი, როგორ ბრძანდებით! ხომ კარგად! წუხნელ პრემიერაზე დაგინახეთ. როგორ მოგეწონათ?

**აბესალომი.** არ მომეწონა. ეს არ არის მეოცე საუკუნის თეატრი!

**ბიძინა** (მეც სწორედ ეგა ვთქვი, ეს გუშინდელი თეატრია! არ მოგეჩვენათ, რომ გიორგოზიანი თავის თავს იმეორებს? (თან ხელი გამოსდო, გვერდზე გაეყვანა, შეცვლილი ხმათ). ბატონო აბესალომი, ძმობასა და საქმეში ღალატი ხომ არ არის მოსალოდნელი?

**აბესალომი.** მე ღალატი არასოდეს მჩვევია!

**ბიძინა** (ძალიან კარგი, ხომ ვართ ისევ ძველებურად?

**აბესალომი.** რასაკვირველია!

**ბიძინა** (პრემიერის მერე ბანკეტზე ცოტა დაუღიჟ, მაგრამ მაინც მოკლედ, ვიცოდი, აქ იქნებოდათ. აი, ეს „დანლოფი“ უნდა გა-

ჩუქოთ! ამჟამად არაფერი უნდა. ოღონდ ხელში დაიჭირეთ და თვითონ დაარტყამს ბურთს.

**აბესალომი** (ჩოგანი ჩამოართვა, შეათვალიერა). კარგი რამეა!

**ბიძინა** (ზეგ დილას „დანლოფი“ ვითამაშოთ. ხომ მოხვალთ? აბა, კარგად იყავით! ალიკა წუხნელ ბანკეტზე ისე დათვრა, მაგიდაზე შეხტა საცეკვაოდ (ცვლავ ხმადებლა.), ისე ჩვენს შორის შუაკაცები არ უნდა იყოს საჭირო! ჩვენ ხომ გვაქვს უფლება პირდაპირ ველაპარაკოთ ერთმანეთს. რად გვინდა ეს აჩიკოები თუ ვილაც-ვილაცები! (უფრო დაუშინა ხმას.) არ გეწყინოთ და, ეს აჩიკო, მგონი, ცოტა ქაჯია! რალაცებს ახურებს.

**აბესალომი.** ვნახოთ, ვნახოთ, შეიძლება. **ბიძინა** (ნახვამდის, ზეგ დილაშემდე! ეგ ჩოგანი თვითონ ურტყამს, თქვენ ოღონდ ჩაიფიქრეთ! (გადის).

**აბესალომი** (ბიძინას მიუბრუნდა, თან ჩოგანს ათვალერებს). ა, რას იტყვი?

**ბიძინა.** ნაღდად ესეც უარით გამოისტუმრა არჩილმა და ამიტომ ათამშებს ასე ერთ ადგილს.

**აბესალომი.** რა უნდა მომხდარიყო? (ბიძინამ ხმრები აიწურა.) რაში უნდა იყოს საქმე? (ბიძინამ თავი გააქნია, ვერაფერს ვხვდებო) მაინც, რა უთქვამს, რაო?

**ბიძინა.** წადით და საქმეს მიხედეთ, ცოტა ხანს კიდეც გაცილით და თუ მერე ყველაფერი რიგზე არ გექნებათ, დაგიჭერთო. ახლა ესენი გაიძინან, ან მოვილაპარაკოთ, ან ჩვენს გზას ვნახავთ, მანდ არ გავჩერდებითო.

**აბესალომი** (გაოცებული). ხომ არ გავიულა? (ერთხანს უხმოდ დგას. ჯიუტად მისჩერებია ერთ წერტილს.) შენ ხომ არ დაგიტოვეს?

**ბიძინა.** არ ავიდვ, მე რა ვიცო, იმას რა უღვეს გულში.

**აბესალომი.** ჰო, მაგრამ...

**ბიძინა.** აღარ შემიძლია, ბატონო აბესალომი! ყველაფერი მე დამაწვა ვანყოფილებაში. ვახსოვთ, შარშანაც რომ აუტუდა რაღაც?

**აბესალომი.** არა, არ მახსოვს. წამთარში რა იყო?

**ბიძინა.** ეგ საქმე ჩამომაცილეთო. არ მინდაო! დაგავიწყდათ?

**აბესალომი.** ჰო, ჰო გამახსენდა! რა ბზიკი შეუჩნდა?

**ბიძინა.** კი, ბატონო, იყოს ეგ საქმე ჩემზე. მაგრამ სხვა რამე ჩამომაცილეთ!

**აბესალომი.** რას ახურებს ეგ! ხომ არ აუარია?

**ბიძინა.** აურია, არა! ეგე იმ კორტზე ისე გემრიელად ურტყამს, არეულს არაფერი უგავს!

**აბესალომი.** ეგ ხომ „ბურვესტნიკე“ და-



დიოდა! აქ რა უნდა! (ჩაფიქრდება, მოედანზე მიმოიღის).

**ბიძინა.** ახლა აქ გაიჩითა, სხვა ხალხში უნდა გაერიოს!

**აბესალომი** (მოუთმენლად). მომიყვანე ერთი აქ!

**ბიძინა.** აქ?

**აბესალომი.** ჰო... მიდი, მიდი, მოიყვანე.

ბიძინა მიდის. აბესალომი ერთხანს ჩაფიქრებული დგას. ათას რამეს სწონის და ზომავს გონებაში, მერე, როგორც ჩანს, მისკენ მომავალი ბიძინა და არჩილი დაინახა, ჩოგანი აიღო ხელში და ბურთს ურტყამს — შორ მანძილზე და ძლიერ ურტყამს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ქვეყნად სხვა საზღურნავი არა აქვს, გარდა ბურთის ერთ წერტილში ძლიერად დარტყმისა. შემოდიან ბიძინა და არჩილი.

**არჩილი.** გამარჯობათ!

**აბესალომი.** ოჰ, გაუმარჯოს! შენ ხომ „ბურვესტნიკზე“ დადიოდი, რატომ შეიცვალე?

**არჩილი** (მცირე პაუზის შემდეგ, ღიმილით). სულ, ერთნაირად ხომ არ უნდა ვიყოთ, ბატონო აბესალომი!

**აბესალომი** (მნიშვნელოვნად იღიმება). აბა, გაგვიჩნდა ახალი პარტიზორი. დადექი ერთი, კიდევ მაქვს ათი-თხუთმეტი წუთი, შენზე ამბობენ, მაგარიაო.

**არჩილი.** ტყუილი უთქვამთ!

**აბესალომი.** რისკიანი თამაში იცისო!

**არჩილი** (სათნო ღიმილით). რისკი გამარჯვების დედა არისო.

**აბესალომი** (შეპარვით). ჰო, მაგრამ.. წაგებისაც!

**არჩილი.** რა გაეწყობა, მაშინ არ უნდა ითამაშო სულ!

**აბესალომი.** მიდი, მიდი, დადექი ერთი!

**არჩილი.** არა. მე თქვენს დარტყმებს ვერ ავიღებ. ჩახვეულს ურტყამთ.

**აბესალომი** (გაკვირვებულ). მე? მე და ჩახვეული დარტყმა? აბა, საიდან? აი, ახალი რაკეტა მარტუქს, მოგწონს? ნადი „დანლოფია“.

**არჩილი.** ამერიკაში ორასი დოლარი ღირს!

**აბესალომი.** ამერიკაში კი ეღირება, რა ენადღებათ! გიორგამემ მომართვა... (სხვა ტონით). მართლა... სად არის ის... მაგას ხომ არ ჰგონია, რომ ამ რაკეტით გამოვა... თვე გავიდა და... (არჩილს). ოთხში არ მოაქვთ ხოლმე? (ბიძინას). დღეს რამდენია?

**ბიძინა.** შვიდი.

**აბესალომი** (არჩილს). მერე? რა ხდება? ფეხსაცმლის გაერთიანებიდანაც ხო უნდა მოსულიყვნენ? (ბიძინას). რა გვარია ის?

**ბიძინა.** ვაშალომიძე!

**აბესალომი.** სუფრაზე რო გულბაათ ჰვ-

კვადესხვით წამოიჭიმება, რას აპირებს (არჩილს). არ უნდა მოსულიყო?

**არჩილი.** კი.

**აბესალომი** მერე? (კილო შეიცვალა.)

დღესაც დააცალე, თუ ხვალ დიღასაც არ მოვიდა... ნავთობპროდუქტებს როდის აქვს ვადა? სამში, არა? (არჩილი დუმს.) ჰა? ისიც სამში, ხომ?

**არჩილი.** კი.

**აბესალომი.** მერე? შენ ხომ არ გაბითურებენ! ეგ ვაბისკირია „გაზ-81“-ით რომ დაგრიანებენ, ქალაქკომის მდივანი ხომ არ ჰგონია თავი! უკან დარჩება ყველაფერი. ხვალ დილაშენ დაიღე მაგასაც, მერე...

**არჩილი.** დავურეკავ და ვეტყვი, თქვენთან მოვიდნენ.

**აბესალომი.** ეგ საქმე შენ გაბარია და მოუარე (ბიძინას). დღეს შვიდიაო, ხომ? დღეს ვაჭრობის სამმართველო უნდა მოვიდეს, საყოფაცხოვრებო მომსახურებაც... მგონი, აბესაძის კომპინატც... (გაფრთხილების კილოთი). ეს დიდი საქმეა, არჩილ, და, შედაპირულად არ უნდა მიუდგე... როგორ შეიძლება!

**არჩილი.** მაშინ ვეტყვი, ბიძინასთან მივიდნენ!

**აბესალომი.** ბიძინას თავისი საქმე აბარია, შენ — შენი! ყველას საკუთარი სფერო აქვს. წავედი მე, შხაპი უნდა მივიღო, ათ საათზე თათბირი გვაქვს, არ დაგვავიწყდეს! რა ტიპია ეს მალულარია, რას უშვრება იმ წესიერ ხალხს, რა მოხდა — იჩნუბა ბიჭმა, გალანა ვიღაც ახვარი, ასე შეიძლება? ერთი ტენიკურად შევახუროთ თათბირზე. დაუჩემებია რაღაცა, რად უნდა, რისთვის! (ბიძინას). შენ სამსახურში მიდიხარ, ხომ?

**ბიძინა.** დიახ!

**აბესალომი.** თინიკოს უთხარი, ყავა დაჭკვას, მეც ახლავე მოვალ (მიდის).

**არჩილი.** ბატონო აბესალომი! (აბესალომი მობრუნდა. არჩილი დუმს, აბესალომი ელოდება, რას იტყვისო. არჩილს კი ვერაფერი უთქვამს).

**აბესალომი.** ჰა!

**არჩილი** (უცებ მოსჭრის). თქვენ ხომ ყველაფერი იცით, რა საჭიროა ასეთი თამაში?

**აბესალომი** (ცივად). ვერ გავიგე!

**არჩილი.** ეგ საქმე სხვას გადააბარეთ, მაგ საკითხზე მე აღარ დამიძახოთ (ჩქარი ნაბიჯით გადის, ბიძინა და აბესალომი გაოცებით შესტკეერიან მიმავალ არჩილს. ხანგრძლივი პაუზა).

**აბესალომი.** რამდენი ხანია ეგ ბიჭი ჩვენთან არი?

**ბიძინა.** ექვსი წელიწადი იქნება.

**აბესალომი** (თითქმის თავისთვის). ექვს

წეწიწადღი კი გააძღვრდა, მაგრამ ისე არა, რომ...

დღემილი.

ბიძინა. არა ვგონებ, ამ ამბებს რაიმე კავშირი ჰქონდეს ერთმანეთთან, თუმცა.. თქვენ როგორ ვერ ვაიგებთ?.. (აბესალომი ჯიუტად მისწერბია.) ამ დღეებში ჩხარტიშვილთან იყო...

აბესალომი. ჩხარტიშვილი ვინ ოხერია?!

ბიძინა (გაოცებულად). ჩხარტიშვილი...

აბესალომი. პოო... მერე რა მოხდა! (წამოსწორდა უცებ და მერედა მიხვდა, რომ რაღაც მოხდა.) კი, მაგრამ.. ვერ ვაიგებ...

ბიძინა. მართლა არ იცოდით?

აბესალომი. ეს მივიღე, თუ...

ბიძინა. იმან დაუძახა.. თქვენ როგორ ვერ ვაიგებთ!

აბესალომი. შენ საიდან?..

ბიძინა. ბიჭებმა მითხრეს.

აბესალომი (დაცდება). ერთხანს უხმოდ ხის). რაო, რატომ დაუძახაო?

ბიძინა. ეგ არ ვიცი.

აბესალომი (პაუზის შემდეგ) გეცოდინება.

ბიძინა. არა, არ ვიცი.

აბესალომი (გაფრთხილებს კილოთი).

ბიძინა (ბიძინა დუმს. პაუზა კარგა ხანს გრძელდება.) აი, მანდ, ფანჯრის რაფაზე, ტელეფონი უნდა იდგეს... გრძელ შურუტა, მომწოდე ერთი (ბიძინა გადის, აბესალომი მოაჯირს გადაყრდნობა, თითქოს თავისთვის ჩილიპარაკებს.). არ ისვენებენ ეს კომსომოლები, ისევ ამოვარდა ქარის (ბიძინას ტელეფონი მოაქვს.) დაჭეკი. (ნომერს კრფს.) რატომ, რისთვის, თორემ ერთი მაგათი დედაც... (ყურმილი). დილა მშვიდობისა, ნიკოლაევიჩ! სამსახურში ვარ, კი... პო, პო... მითხრეს, პო, იმან დაუძახა? გასაგებია! გარდაქმნას ჩვენგან იწყებთ? კარგი, ბატონო, გაახლებით. ახლავე? რა ამბავია?! ამ წუთში... (ყურმილი დასლო, ერთხანს გარინდებული ხის.) ჭერ ათი საათი არ არის და როგორ დააკირა მზეში.. (კვლავ გაჩუმდა, უცქრობს.) აწინაურებენ მაგ ბიჭს... უფროსის მოადგილედ ნიშნავენ... (დღემილი. ბიძინამ არაფერი თქვა.) შენ რას ვიპირებენ, არ უთქვამს. (კვლავ დღემილი. აბესალომმა გაოცებით ახედა ბიძინას).

ბიძინა (ფრთხილად, შეპარვით). მე მითხრეს, უფროსადო?

აბესალომი (მცირე პაუზის შემდეგ). იცი რას გეტყვი? ერთი მაგათი.. (თავი შეიკავა, აღარ დაამთავრა სათქმელი. მცირე პაუზის შემდეგ.) კი, ჰქონიათ ასეთი აზრი, მაგრამ ჭერ ახლგაზრდა. ერთი-ორი წელი მოადგილედ იმუშაოსო და... (ფიქრმა სიტყვა წაართვა. მისი გონება ახლა გამალებით მუშაობს, ითვლის, ანგარიშობს, ითვალისწინებს, აჯამებს.) ასე ვნებით ახლა ჩვენ... ჩადი და დილის თათბირი ერთი საათი გადადებული-თქო, უთხარი

ბატონს, მე ჩხარტიშვილი მეძახის... უველაფერს ვაიგებე.. რაიკრმთან დამეუბნადე, მალე გამოვალ.

2.

რაიკომის პირველი მდივნის ჩხარტიშვილის კაბინეტი. ჩხარტიშვილი და აბესალომი.

ჩხარტიშვილი. ერთ საკითხზე დავიძახებთ, ბატონო აბესალომ.

აბესალომი. გისმენთ.

ჩხარტიშვილი. სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა უნდა გადავახალისოთ.

აბესალომი. ახლა უველაფერი ხდება!

ჩხარტიშვილი. დიახ... ოღონდ გთხოვთ ცუდად არ ვაგვიგოთ...

აბესალომი. თუ ჩემი გათავისუფლება გწადიათ, კარგად ვერაფრით ვერ ვაიგებთ.

ჩხარტიშვილი. (ასეთ პირდაპირ პასუხს არ მოელოდა. ამიტომ შეყოვნდა და მცირე პაუზის შემდეგ თქვა). მაგრამ თქვენი აზრი მაინც საინტერესოა.

აბესალომი (ლიძილით). რომ ვითხრათ, აჩქარებულხართ, არ შეიძლება ასე ძველი კადრების დანიაგება და საერთოდ ცუდად ვაფიქრიათ-მეთქი, დამიჭერებთ?

ჩხარტიშვილი. ეს ხუმრობით. სინამდვილეში?

აბესალომი. დღეს ხომ სიმართლეს ხუმრობით ვეუბნებით ერთმანეთს.

ჩხარტიშვილი. ახლაც ხუმრობთ?

აბესალომი. არა. ახლა არ ვხუმრობ. მე მეკითხებით გაგათავისუფლოთ თუ არაო. დემოკრატიის თამაშის ასეთი უნდა საინტერესოა (ამას უველაფერს ღიმილით ამბობდა. ახლა კი ერთ წერტილს მიაჩერდა. და პაუზის შემდეგ კვლავ განაგრძო.) ამ ჩვიდმეტი წლის წინათ აქ, ამ კაბინეტში დამიძახეს და მითხრეს: სამართალდამცავ ორგანოებში სწორედ თქვენ-ნაირი ძლიერი და გამოცდილი პიროვნება გვიჭირდებაო. მაღლობა ვუთხარი და საქმეს შევუდექი. შვიდი წლის მერე ამავე ოთახში დამიძახეს და მითხრეს: ჩვენს აქტივს მიაჩნია, რომ თქვენ მაგ ადგილზე არ უნდა იყოთ და, რას იტყვიოთ. მე მაღლობა ვუთხარი და წავედი. ამ რვა წლის წინათ მაგ სავარძელში სხვა ჩაჯდა, ისევ დამიძახეს: შეცდომა იყო თქვენი გათავისუფლება, მიბრძანდით, ისევ დაიპირეთ თქვენი ადგილიო. მე მაღლობა ვუთხარი. ახლა მეძახით და მეუბნებით ასე და ასეო. რა ვქნა? ისევ მაღლობა ვითხრათ, თუ თავისი სახელი დავარქვა უველაფერს?

ჩხარტიშვილი. შეგიძლიათ გულწრფელი იყოთ?

აბესალომი (გაიცინა). თუ მართლა გულწრფელია გინდათ, გეტყვი — ასეთი კითხვა მეოცნებე გიმანაწიებს შეშვების, ისიც შეუვარებულთან, მდინარის პირას, ან ტყეში...

**ჩხარტიშვილი** (გალიზიანებული). იქნებ, მაინც გვითხრათ თქვენი აზრი!

**აბესალომი** (მიხვდა, ჩხარტიშვილის გალიზიანების მიზეზი რომ მისი სითამამე იყო, ამიტომ მორჩილად თქვა). შე რა უნდა გითხრათ, გარდა მადლობისა. მადლობა, მხოლოდ მადლობა!

**ჩხარტიშვილი**. მადლობას რატომ იხდით. სხვა გზა არა გაქვთ, თუ...

**აბესალომი** (გაიცინა). დაფუშვით, არ გითხარით მადლობა და თავისი სახელი დავარქვი ყველაფერს: ადამიანებს ისე ატრიალებთ, როგორც მოგებრიანებათ, რომელ სკამზე რატომ სვამთ ზოგჯერ თვითონაც არ იცით-მეთქი, რა შეიცვალა ამით? ხომ საბოლოოდ გადაგიკიდებთ? მაგ მადლობით კი გეუბნებით, კვლავ თქვენი უცვლელი ყმა ვარ-მეთქი. მოკლედ რომ გითხრათ, თქვენ ხომ სულ მადლობას ელოდებით ჩვენგან და არა სხვა აზრს, წინააღმდეგობას, მითუმეტეს მაშინ, როცა ჩემს მაგიერ ახალგაზრდა კაცი გინდათ დანიშნოთ.

**ჩხარტიშვილი** (დაქინებით აცქერდება აბესალომს. პაუზის შემდეგ). შე არ შეგონა, თუ თქვენ ასეთი... მე უფრო სხვანაირ კაცად წარმოგიდგინეთ.

**აბესალომი**. აი, ხედავთ? ჩემი მადლობით, სიმართლე გათქმევინეთ.

**ჩხარტიშვილი**. მომცემთ პირობას, რომ არავინ დამირეკავს და შეტყუის, მაგ კაცს ხელს ნუ ახლებ, თავის ადგილზე იჯდესო?

**აბესალომი** (პაუზის შემდეგ). გამოვედი მაგ ასაკიდან.

**ჩხარტიშვილი**. თუ ასე იქნება, მეც გაძლევთ პირობას, რომ რაღაცას მოვიფიქრებთ, სხვა საქმეში გამოგაყენებთ.

**აბესალომი**. გმადლობთ.

**ჩხარტიშვილი**. კარგად ბრძანდებოდეთ! **აბესალომი**. გმადლობთ (მიღის, ღიმილით.) როდის აპირებთ ამ განახლებას? დღეს? ხვალ? ახალგაზრდა კაცს კანონიერებისთვის ბრძოლის საქმე როდის ჩავაბარო?

**ჩხარტიშვილი**. ამ დღეებში დაგვიძახებთ.

**აბესალომი**, მაშ, ჭერჭერობით შემიძლია ვიმუშაო?

**ჩხარტიშვილი**. რასაკვირველია!

**აბესალომი** (ძალიან კმაყოფილია). გმადლობთ (მიღის).

**ჩხარტიშვილი**. ერთი წუთით. თქვენ ხალხს პარტიულ ხელმძღვანელობასთან სულ სხვანაირად უქირავს თავი. თქვენ კი... რას მივაწეროთ თქვენი ასეთი სითამამე?

**აბესალომი** (ღიმილით, რომელშიც ირონიაც გამოსკვივის). ვკონებ, მადლობა რამდენიმეჯერ გითხარით. ზოლო ის, რომ არ მიცნობთ, თქვენ თვითონ თქვით. კარგად ბრძანდებოდეთ! (გაღის.)

8.

ბიძინა, შეთანხმებისამებრ, რაიკომის შენობასთან დახვდება აბესალომს.

**აბესალომი**. დამთავრდა ეს ამბავი! აპირებდნენ რაღაცას, მაგრამ... მართლმაც არიან... ხომ ხედავ, რა ამბავია ქვეყანაზე... ყველა და ყველაფერი ჯარდაიქმნა, ყველაფერი იცვლება. ჩვენ კი... ამ გარდაქმნას, თუ ჩვენც არ აყუევით, ცუდად იქნება საქმე.

**ბიძინა**. ესე იგი, რა, ახლა არ დაგვბოძებენ?

**აბესალომი**. ახლა არა, ახლა არაფერი არ იქნება, მაგრამ თუ ჩვენ ასე დოყლაპიებივით ვიხსნებით, დედას გვითირებენ, აგვაფუთქებენ. უნდა გავინძრეთ, არ შეიძლება ასე. შენ ეს მითხარი, ნავთობპროდუქტების დამუშავებას რამდენი დღე დასჭირდება?

**ბიძინა**. ექვსი-რვა დღე.

**აბესალომი**. ბევრია. ფხსსაცემლების გაერთიანებას?

**ბიძინა**. უფრო მეტი!

**აბესალომი**. მაგრამ... მაგრამ აი, მანდ შეიძლება ოპერაციის ჩატარება. ფხსსაცემლების გაერთიანებაში და მანდ... ის რა გვარია, წედან რომ ჩოგანი მაჩუქა?

**ბიძინა**. გიორგაძე.

**აბესალომი**. გიორგაძეს და ფხსსაცემლების გაერთიანებას მზა პროდუქციის გატანა-შეტანისას დაუდარაქდით. დღეს ესენი არაფერს მოელოან და თავისუფლად იმოქმედებენ. სადამომდე ორივე უნდა აიყვანო, ნავთობპროდუქტები კი დამუშავეთ.

**ბიძინა**. ნავთობპროდუქტებიც?

**აბესალომი**. ჰო.

**ბიძინა**. იქ ხომ... იქ ხომ შალვა გიორგევიჩი...

**აბესალომი**. ერთი მაგისი... ვერ ხედავ, რა ამბავია?! განრდაქმნა ჩვენც თუ არ დავიწყეთ, დედას გვითირებენ. ახლა ნახონ მაგათ, რა გარდაქმნა ვიცი მე, რაღა ჩვენით დაიწყონ, ჩვენ დავცხოთ, სადამომდე ორივე ადგილზე უნდა იყოს!

4.

აბესალომის კაბინეტში ორნი სხედან — აბესალომი და გიორგაძე; სადღაც გამქრალა გიორგაძის იმპოზანტურობა, მომხიბლობა, პეწი. წვერმოშეებული და ფერდაკარგული ზის. **აბესალომი** (ხმადაბლა, მეგობრული, მიმნდობი კაცის კილოთი). რას იზამ, ხომ ხედავ რა ამბავია ქვეყანაზე! ახლა საჭიროა პატარა დარტყმის შეფუთვიერთ თავი, რომ დიდი ავიცილოთ.

**ბიორგაძე**. ჩვენ შენი იმედი გვქონდა.

**აბესალომი**. ჩემი დაცვა აქაც გვირდება, შენ ისეთი ოპერაცია ჩავიფიქრებია, მამაყეციერი ვერ დაგიცავდა.

ბიორბაძე. დამარეკინე.  
აბასალაშვილი. კი, ბატონო! (აპარტი წინ  
დაუდო.) ვის ურეკავ? მოიცა, მოიცა! იმას ხო  
არ ეტყვი საქანში ტელეფონი დამივცხვოს!  
(აპარტი გვერდზე გადადგა).

ბიორბაძე. დავლუბე ოჯახი, დავლუბე.  
აბასალაშვილი. ყველამ იცის ეს ამბავი. სალა-  
მოს მთელ ქალაქს მოედო გიორგაძე აიყუა-  
ნესო.

ბიორბაძე. მერე?  
აბასალაშვილი. ისეთი დროა, არ უნდა გა-  
გივირდეს. ამ გარდაქმნამ ყველაფერი თავ-  
დაყირა დააყენა.

ბიორბაძე. რამე გამოსავალი უნდა მოვ-  
ნახოთ.

აბასალაშვილი. გამოსავალი თითქმის არ არ-  
სებობს.

ბიორბაძე. თითქმის არ არსებობს, მაგრამ  
თითქმის ხომ არსებობს? ჩვენც ამ „თით-  
ქმისს“ დავაწვთო.

აბასალაშვილი. არის ერთი ვარიანტი. ერთად-  
ერთი ოცდახუთი ათასი მანეთის დატაცებაა  
თქვენთან. ეს თანხა უნდა გავყუთ გავანახე-  
როთ.

ბიორბაძე (იმედი მიეცა). ეს არის საშვე-  
ლი, ერთადერთი საშველი.

აბასალაშვილი. ეს საშველი არ არის, მაგრამ  
დარტყმის ძალას გავანახებრებთ.

ბიორბაძე. ზელახალი უნდა მოეწყოს აღწე-  
რა. ზელახალი აღწერისას აღმოჩნდება, რომ  
ყველაფერი სუფთაა. არ არის არავითარი და-  
ტაცება!

აბასალაშვილი (გაიცინა). რას ამბობ, ჩვილ-  
მეტ კაცსა აქვს ზელი მოწერილი!

ბიორბაძე. ამ საქმეში უნდა გვიშველო,  
უნდა გვიხსნა.

აბასალაშვილი. არა, არა, ეგ არ გამოვა! დღეს  
მაგას ვინ იკისრებს, რა ჰქენი, ეს რა გააკე-  
თე, ერთი მაინც დაგერეკა, გეცნობინებინა,  
ასე და ასეა საქმეო. აქამდე როგორ მოატა-  
ნინე ეს ამბავი! ახლა რა უნდა გრშველო მე.

ბიორბაძე. ტელეფონთან არ მიმიშვა შე-  
ნმა მოადგილემ.

აბასალაშვილი. დამაალი ჩხარტიშვილის ყვე-  
ლას ეწინაა. კარგად მისმინე. ამაღამ დაკით-  
ხვას მეც დავესწრები, თუ მოვახერხებ. დიწ-  
ყებენ იმ ოცდახუთი ათასი მანეთის ძებნას.  
თუ მაგ თანხას გაანახებრებ, ბევრი რამე გაი-  
ოლდება. ამიტომ უნდა აღიარო, რომ თორმე-  
ტი ათასი ხანიკიძეს მიეცე.

ბიორბაძე (ლაპის ადგილიდან წამოხტა).  
არჩილს?

აბასალაშვილი. ჰო, ხანიკიძეს, ის იყო თქვენი  
კურატორი.

ბიორბაძე. კაცი დავლუპო?

აბასალაშვილი. ახლა მითვარია მაგ თანხის გა-  
ნახევრება! სხვებზე ნუ ფიქრობ.

ბიორბაძე. ვერა, მე მაგას ვერ ვიწამ... არ  
შემიძლია.

აბასალაშვილი. მე გზა გიჩვენე. შენ გინდა,  
დაადეკი, მაგ გზას. გინდა კლდეზე გაიღიჩებე.  
ბიორბაძე. კი მაგრამ, როგორ, რანაი-  
რაღ!

აბასალაშვილი. შე ჩემი გითხარი...

ბიორბაძე. სხვა მოვიფიქროთ რამე. მე კაცს  
ვერ დავლუპავ. გამაგე, ყველაზე ნაღდი აღ-  
წერის მოწყობაა, აღმოჩნდება, რომ არავითა-  
რი დანაკლისი არ უყოფილა. ბიჭები დატრი-  
აღლებიან. ნახვევს ხალხს.

აბასალაშვილი. მაგას დღეს ვერავინ იკისრებს,  
მოკვდა ის დრო! სანიკიძე უკვე ჩავარდა. ეგ  
აღიარება არც არაფერს შემატებს, არც არა-  
ფერს დააკლებს. შენ კი საქმეს გაიგინახე-  
რებს.

ბიორბაძე. როგორ, როდის?!

აბასალაშვილი. გუშინ აიყვანეს. დიდი საქმე  
გასკდა.

ბიორბაძე. ჩემგან მაგიტომ არ აიღო?

აბასალაშვილი. როგორ აიღებდა, მიწანში  
ჰყავდათ აყვანილი! ეს აღიარება შენ სულ სხვა  
მუხლში გადაგიყვანს. ამით საქმე გაიოლდება.  
ახლა კი აი, იმ ოთახში შედი, ცოლ-შვილი მო-  
ვაყვანინე შენი, მხოლოდ... იცოდე, ხსს... თო-  
რემ ერთ წუთში შეგიძლია დამლუპო... შენს  
ხელში ვარ. ასეთ რისკზე მივდივარ... არჩილზე  
კი კარგად მოიფიქრე ყველაფერი. დავუშვათ  
ასე... არ გინდა შენ ჩემი ტყუის სწავლება...  
ყოველთვიურად ვაძლევდი-თქო.

ბიორბაძე. მერე თქვენ?

აბასალაშვილი. შენ ჩემი დარდი ნუ გექნება.  
თუ რამე უტეთებს მოიფიქრებ, კი, ბატონო,  
აგერ ვარ მე... ზელახალი აღწერა არ გამოვა...

ბიორბაძე. დიდი მადლობა... ყოველთვის  
ვაუკაცი იყავი... (გაღის).

აბასალაშვილი. სავარძელში გადაწვა. ერთხანს  
უხმოდ ზის. მერე ლილავს დაჰკირა თითი, აპა-  
რატს ჩასძახა.

აბასალაშვილი. ამოიყვანეს? ამირანს უთხარი,  
მანდ დაიცადოს. ეგ კი შემოვიდეს. (შემოდის  
ვაშალიძემი. აბასალაშვილი ადგილიდან წამოიჭ-  
რა. მიუგება, მოუხეია კიდევ.) რა მიყავი ეს  
რა გამოიკეთე! ასე აღამიანს მოექცევიან?

ვაშალიძემი (თავი მშვიდად უჭირავს, ღი-  
რსეულადაც კი). ციხეში მე ჩამხვით და საყ-  
ველურსაც მეუბნებიო? რა არის ეს, რას ჰგავს!

აბასალაშვილი. არა მაქვს სასაყვედურო?

ვაშალიძემი. საქმეზე!

აბასალაშვილი. კი, ბატონო, საქმეზე!

ვაშალიძემი. რას ჰგავს ეს ამბავი! რატო  
ვარ მე აქ! საქმე ხომ არის საქმე, სიტყვაც  
ხომ არი სიტყვა! იმუშავეთო და ვმუშაობდით  
ჩვენც. ფულს იმიტომ ვინდიდით, ჩემო ძმაო,  
რომ ამ დღეში არ ჩავვარდნილიყავით. პარ-



ტრანსულად ხომ არ ვმუშაობდით! თქვენგან დაშალული ხომ არაფერი გვქონდა!

**აბესალომი.** მერე?

**ვაშალომიძე.** რა მერე!

**აბესალომი.** რა, მერე-მეთქი, მე გეკითხები!

**ვაშალომიძე.** მერე ის, რომ არ უნდა ვიყო მე აქ, ძმავო, არა! არაფერი მიჭირდა მე საამისო. გეთქვათ და, გავიდოდი იმ საქმიდან, გეთქვათ და ვიმუშავებდით პრავად, ჩვენ ჩვენს თავს მივხედავდით რამენაირად! ეგრე ხომ არ არი, თქვენ მანდ ჯდობაც გინდათ და ფულიც! ჩვენ რა, კურდღლები ვართ?! ფულიც არ მქონდეს, სახელი მაცხოვრებდა!

**აბესალომი.** მერე-მეთქი, მე გეკითხები!

**ვაშალომიძე.** გასაგებად მელაპარაკე, ისედაც არეული მაქვს ტვინი!

**აბესალომი.** მე რატომ მიკითხავ მაგ ნოტაციებს!

**ვაშალომიძე.** აბა, ვის მოვკითხო ჩემი დღე!

**აბესალომი.** შენ ვისთან გქონდა საქმე? ვინ იყო თქვენი კურატორი?

**ვაშალომიძე.** როგორ თუ, ვინ იყო — ხანიკიძე! დავეკლით რამე? პირობა არ შევასრულეთ? ღირსეულად არ მოვიქცით?

**აბესალომი.** მერე ეგ ყველაფერი მე კი არა, იმას უნდა უთხრა!

**ვაშალომიძე.** ვერტუვი კი არა, სულს ამოვხდი, დედას ვუტირებ!

**აბესალომი.** მიტქონდა კი იმ ხანიკიძეს ყველაფერი თავ-თავის ადგილას? ისე აკეთებდა ყველაფერს, როგორც საჭირო იყო?

**ვაშალომიძე.** ეგ როგორ!

**აბესალომი.** დარწმუნებული ხარ, რომ მიტქონდა?

**ვაშალომიძე.** მაგას როგორ იზამდა!

**აბესალომი.** რომ გაუეთებია, რომ უკისრია?!

**ვაშალომიძე.** შენ იცი, რას ლაპარაკობ? იცი, ეგ რას ნიშნავს?

**აბესალომი.** ის თუ იცი, ხალხის ჩაშვება რას ნიშნავს? იცი, რა ამბავია ქალაქში?!

**ვაშალომიძე.** დედას ვუტირებ, ყელს გამოვკრი!

**აბესალომი** (გელიძე). კარგი ერთი — ვერაფერსაც ვერ უწამ!

**ვაშალომიძე.** როგორ არა, ვუხბოთრებ! შენ გგონია, აქედან ვერ მოვწვდები? რა ღირს ერთი კაცის გაგორება! ღორივით დაკლავენ!

**აბესალომი.** ვერაფერს ვერ უწამ, ნიკოჩან. ვერაფერს. ციხეს რომ გადაურჩეს, ხალხი დაბრიდავს. უნდა შეურიგდე ბედს. ახლა მთავარია, თავი შეინახო, კანმრთელობას გაუთრთხილდე.

**ვაშალომიძე.** რა ციხე, რა ხალხი, რას ლაპარაკობ?

**აბესალომი** (ხელით ანიშნა დაპატიმრებულიად). მორჩა! მარტო შენ კი არ ჩაგადგო ამ დღეში! ჩაუშვა ხალხი, გაუიდა! აღება სცოდნია, გაეთება — არა! იმათაც არ დაიშალეს და... ყველამ დაადო ხელი.

**ვაშალომიძე.** ჩავარდა?

**აბესალომი.** ვეღარაფერი რომ ვეღარ ამოიყვანს. ხუთი კაცი ამბობს, ვაძლევდითო.

**ვაშალომიძე.** მერე თქვენ?

**აბესალომი.** ჩვენ — რა?

**ვაშალომიძე.** შენ?

**აბესალომი.** მე აგერ ვზივარ, ხომ მიყურებ! **ვაშალომიძე.** კი მაგრამ, ეგრე ხომ არ არის შენ?

**აბესალომი.** აი, ეგრე რომ არი, მაგიტომ ზის ის იქ და მე — აქ! (დუმბილი. ვაშალომიძე ერთ წერტილს მისჩერებია). ეგ რომ ჭკვიანად მოქცეულიყო, არც თქვენ ჩავარდებოდით და თვითონ ხომ იქნებოდა და იქნებოდა. ახლა აღარავინ ინდობს, ყველამ იყვარა, ვაძლევდითო... ამდენი და ამდენი მიტქონდაო.

**ვაშალომიძე.** მაგალითად?

**აბესალომი.** რომელი ერთი გითხრა. გიორგაძემ...

**ვაშალომიძე** (გაოცებული). გიორგაძეც ჩავარდა?

**აბესალომი.** ჩავარდა რომელია! ებაც მაგან ჩაუშვა. ნავთობპროდუქტებიდან არის ერთი, გვარი არ მახსოვს.. რა ვიცი, რომელი გავიხსენო. შენთან რამდენი გამოვიდა?

**ვაშალომიძე.** ბევრი.

**აბესალომი.** მაინც?

**ვაშალომიძე.** ორმოცამდე!

**აბესალომი.** რას მეუბნები! (მიიხედ-მოიხედ-და, საიდუმლო კილოთი). აგერ გიორგაძეს ოცდახუთიც არა აქვს, მაგრამ ნახევარი მაგას მივეციო. რა ქნახ! სხვა რა გზა აქვს. ციხეს ყველაფერი სჯობიაო, თუ ამით საქმეს გაიოხლებს... მაშ, ორმოცამდე გაქვს?

**ვაშალომიძე** (ერთხანს უხმოდ ზის, მერე ხმადაბლა, თითქმის თავისთვის). რად მინდოდა ეს ამბავი, რა მიჭირდა საამისო!

**აბესალომი.** ძალიან ბევრია, ძალიან! ხომ იცი, ეგ რა მუხლით გადის.

**ვაშალომიძე.** (გატეხილი). ვიცი, კი... ამ ასაკში...

**აბესალომი.** მაგიტომაც დაადო ყველამ ხელი! სიცოცხლე ყველაფერს სჯობია, ძმავო, მო, რატომ ამოგიყვანე ეხლა მე შენ! მხოლოდ არსად დაგვდეს, შენი ჭირიმე... არც საკანში უთხრა ვინმეს, თორემ ხომ იცი... გამომჭირი ყელს. იქნება ოჯახში უნდა-მეთქი რამე! (ვაშალომიძე უხმოდ ზის.) ახლა მთავარია მაგხელა თანხა შენ არ დაგედოს, მაგრად უნდა იყო, არ გაფუჭდე... ყველაფერი წინ არი... თუ გინდა, რამე დამაბარე სახლში, გინდა წერილი გამაბარე.

**ვაშალღმრძემ.** შევიღრწვილი იყო შეუძღროდ და დამარტყინე.

**აბესალომი** კი, ბატონო... (აპარატი ახლოს მიუღდა.) ის მაინც ხომ შეეძლო, გამფრთხილებინა ხალხი! არ ქნა... ფეხებზე დაიკიდა ყველა! ამიტომ არც ეგ დაინდეს... ამდენს ვაძლევდით ყოველ თვეშიო.

(ბავშვის ხმა ყურმილში). ალო... ალო... (ვაშალომიძეს ყურმილი ხელში უჭირავს. ხმას არ იღებს. თვალები ცრემლით ეცემა.) გისმენთ, გისმენთ, გისმენთ...

**ვაშალღმრძემ.** რა ვუთხრა ბავშვს, რა! (ყურმილი დაახეთქა.) მოგიკვდეს ბაბუ, შვილო! დაბნელები. იგივე გარემო, რამდენიმე წუთის შემდეგ აბესალომის წინ ბიძინა დგას.

**აბესალომი.** გიორგაძეცა და ვაშალომიძეც მიმტკიცებენ, რომ დატაცებული ფულის ნახევარზე მეტი არჩილ სანიკიძეს მისცეს ქრთამის სახით, ამაღამ დაკითხვაზე დაუძახეთ ორივეს. თუ დაკითხვაზეც აღიარებენ, რომ სანიკიძეს ქრთამს აძლევდნენ, პატიმრობაში აიყვანეთ სანიკიძე!

**ბიძინა** (გაოცებული). სანიკიძე? **აბესალომი.** ჰო, სანიკიძე.

**ბიძინა.** კი, მაგრამ.. ბატონო აბესალომი! **აბესალომი.** თუ ორივე აღიარებს, რომ

ქრთამს აძლევდნენ სანიკიძეს, დაპატიმრეთ სანიკიძე, მაგრამ თუ ისინი იტყვიან, რომ ქრთამს მაძლევდნენ მე, დამაპატიმრეთ მე. აღარ შეიძლება ამდენის ატანა! გაიხედ-გამოიხედეთ, რა ხდება ქვეყანაზე! გაზეთებს არ კითხულობთ? ქვეყანა გარდაქმნის გზით მიდის, ჩვენ კი ჭურში ვწვივართ!

**ბიძინა.** გასაგებია, მაგრამ...

**აბესალომი.** ყველაფერი შესრულდეს ზუსტად, კანონის მიხედვით!

**ბიძინა.** კი, ბატონო, ამაღამვე ავიყვანთ!

**აბესალომი.** ამაღამვე რა ამბავია! დააცადეთ კაცს თავის ოჯახში ძილი! ის ხომ არა ვართ ჩვენ!

**ბიძინა.** აბა, დილით ტენისზე წავა. სამსახურში ეგ როდის მოვა!

**აბესალომი.** აჰ, ამ შენობაში არაფერი არ უნდა მოხდეს, აქ არ მოიყვანოთ, აქ სიმშვიდე უნდა იყოს! ახლა, იმ ოთახში შედი და გიორგაძე წაიყვანე, ცოლ-შვილს ელაპარაკება.

**ბიძინა.** ახლავე (ვადის).

აბესალომი სავარძელში ნებიერად გადაწვა თვალიც მოხუტა. ასეა ერთხანს. მეზობელი ოთახიდან გამოდიან ბიძინა და გიორგაძე.

**ბიორგაძემ** (აბესალომს მიუახლოვდა). დიდი მადლობა, ძალიან დიდი მადლობა, ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებო.

**აბესალომი.** რას ამბობ, ნეტავ რამე შემეძლოს და...

**ბიორგაძემ.** იმ მათხოვარს კი დედას ვუტოვებ... არ დამინდო? არც მე დავინდობ.

**აბესალომი.** შენი საქმისა შენ უკეთ იცი. ვასაპირს კი უნდა გაუძლო (გიორგაძე და ბიძინა ვადის. აბესალომი კვლავ სავარძელში გადაწვა, ვენტილატორი ჩართო, ახლოს დაიდგა; ერთხანს გარინდებული იჯდა, მერე წამოიწია, ყურმილი აიღო, ნელა, ფიქრინად აკრიფა ნომერი, მერე კი მხნედ შესძახა.) გამარჯობათ, ბატონო გიორგი! მე ვახლავართ (უსმენს.), მადლობელი ვარ ასეთი შეფასებისათვის, ოპერაცია მართლა კარგად ჩავატარეთ, კი, კი, მოვიდა გარდაქმნა, მაგრამ... მიჭირს კიდეც თქმა.. სანიკიძე გვყავდა ერთი... კარგი ბიჭი... მოგვჭკრა თავი... დიახ, დიახ, ვაძლევდითო. დაბეჭდილებით ამბობენ, ვაძლევდითო, საქმეც იმაშია, რომ ორივე ამბობს, ყოველ თვეში ვაძლევდითო... კი, ბატონო, მესმის... დღესვე ავიყვანთ, დიახ, დიახ (ყურმილი დასდო, კვლავ ნებიერად გადაწვა სავარძელში, მერე ნელ-ნელა, ზანტად წამოიწია, ასევე ზანტად აკრიფა ნომერი, პირზე კი ცხვირსახოცი აიფარა). აალოო... სანიკიძეა? აჩიკო! ამაღამ ან ხვალ დილას დაგიჭერენ.. გაიქეცო, დაიქარგე, მაგრამ გაკევიდავენ (ყურმილი ისევ ნელა, ფრთხილად დადო). ითამაშეთ ახლა პერტექტროიკობა!

დაბნელება.

ავანსცენაზე ბიძინა მოდის. კედელზე მიმაგრებულ ტელეფონს უხმოდ შესცქერის, ფიქრობს, ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს. მერე მიუახლოვდება, ყურმილს ჩამოხსნის, ნომერს აკრეფს, პირზე ცხვირსახოცს აიფარებს.

**ბიძინა** (სრულიად შეცვლილი კილოთი).. არჩილი ხარ, ბოშო? გიჭერენ, კაცო, ხვალ დილას გიჭერენ და უშველეთ თავს, ბიძია, ნუ ჩავარდები ძაღლების ხელში.

ნ.

არჩილ სანიკიძე ჩხარტიშვილის კაბინეტში **არჩილი** (სასოწარკვეთილი). აღრე დავრწმუნდი, რომ ჩვენში ორნაირი ხალხი ცხოვრობს — ერთნი აძლევენ იმის გამო, რომ დებულობენ. მეორენი კი ვერაფერს გასცემენ, რადგან აღება არ შეუძლიათ. ჭერ საბავშვო სახლში ვხედავდი კარგი ბავშვების საჩუქრებით მოსულ მშობლებს, ვხედავდი, მაგრამ რას მივხვდებოდი! ვერც სკოლაში ვხვდებოდი, თუ რატომ იყვნენ ისინი ჩემზე უკეთესი მოსწავლეები. ეგ არის, რომ დედაჩემი დაიჩვილებდა, ნიშნებს ყიდულობენ ეგ გასაწყვეტლები, ეგნო. ინსტიტუტში ხომ აკარად ვხედავდი, რომ მთელი ქვეყანა აღებ-მიცემობის რკალში ტრიალებდა. იყვნენ გამოწაკისები, ამ რკალის მიღმა დარჩენილები, მაგრამ განა ცოტა იხადება ქვეყნად ყრუ, მუნჯი, უსინათლო, კოკლი, კუყანაკლული? მე ვგრძნობდი, როგორ მინდოდა ყვირილი, მინდოდა შუა მოედანზე დავმდგარიყავი და მეყვირა. მაგრამ ვინ გამო-



გონებდა, ჩემთვის ვის ეცალა, ვინ მომხედა-  
ვდა? სწორედ მაშინ გამიჩნდა იდეა... ჩემი  
იდეა... ბიჭები ამბობდნენ გააფრინაო... შე კი...  
ბრძოლა, ბრძოლა, ბრძოლა... მიზნის მისაღწე-  
ვად ყველაზე ნაღდი გზა ამნაირ კაბინეტში  
მოხვედრა იყო. აქედან ყველას ვწვდებოდი  
ყელში, მაგრამ მე ამ კაბინეტში ვინ შემომი-  
შვებდა. ამნაირ კაბინეტებს ჩვენნაირი ხალხი-  
სთვის არ აკონტავენენ! კანონიერების დამც-  
ველთა რიგებში ყოფნა! აი, სად იყო ხსნა,  
აი, საიდან შემქმლთ ბრძოლა იმასთან, რაც  
ადამიანების სულელებში აჩენს სასოწარკვეთას,  
სიცარიელეს, უიმედობას. გზა შორი ავირჩიე,  
რადგან მოკლე და სწორი გზით მე არავინ მა-  
ტარებდა — ქარში წავდი. აი, იქ კი მივცეცი,  
რომ მერე არ დამვირევბოდა მიცემა. ხუთი  
ბოთლი „ენისელი“ მივუტანე იმ წითურს. გა-  
დაირია ის რანაირად მიხვდებოდა, თუ რატო-  
მ ვიკლავდი თავს ავღანეთში წასასვლელად.  
იქ სამხატური ძნელია, ომია, დაბომბვები, სი-  
სხლი იღვრებაო, მეუბნებოდა. სწორედ მაგი-  
ტომ მინდა. დუშმანებს და საერთაშორისო იმ-  
პერიალიზმს უნდა ვებრძოდლო-მეთქი, ხახა დაა-  
ფჩინა იმ საცოდავმა. ისე შევეცოდე, ლამის  
თვითონაც გამომყვა.

**ჩხარტიშვილი.** სწორედ მაგიტომ დაგიძა-  
ხე — ინსტიტუტში კარგად სწავლობდი, ავ-  
ღანეთში მედალიც მიიღე.

**ბარჩილი.** ყველაფერს ვაკეთებდი, ყველა-  
ფერს, რომ მიზნისთვის მიმეღწია.

**ჩხარტიშვილი.** ვაგონშემკეთებელ ქარხა-  
ნაშიც კარგად შრომობდი. მშვენიერი ბიოგრაფია  
გაქვს.

**ბარჩილი.** თქვენ ხომ სწორედ ამნაირ ქარ-  
ხებში დავიძებთ ახალგაზრდებს კომკავშირი-  
სა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის,  
მერე რომ გაზეთებში დაიწეროს: „მოვიდა მუ-  
შური შევსება“, „მოღის კომკავშირული ცვლა“.  
რა ხასაცოლო! ჩვენ ყველაფერს კომკავშირი-  
დან ვიწყებთ! (მწარე ღიმილით.) ასე დავდექი  
ხალხის ინტერესების სდაარაგოზე: მაგრამ  
იცით, რა? (სიგარეტი ამოიღო.) შეიძლება?  
(ჩხარტიშვილმა თანხმობის ნიშნად თავი და-  
უქნია. არჩილმა სიგარეტს მოუყიდა, გააბოლა  
და სული მოითქვა. დუმს).

**ჩხარტიშვილი.** გისმენთ, გისმენთ.

**ბარჩილი** (სულ სხვა კილოთი, ფიქრიანად).  
იცით, რა, ასე მეგონა, სულ სხვა სამყაროში  
მოვხვდი — ჩემს ირგვლივ ჩვეულებრივი ად-  
ამიანები იყვნენ... კარგი ბიჭები... ისინიც  
სხვებივით დებობდნენ, ღვინოს სებადნენ, ან-  
ეგლოტებს ყვებოდნენ, მხოლოდ ეს იყო, რომ...  
(პაუზა. ერთ წერტილს მიაჩერდა. თითქოს თა-  
ვის თავს ელაპარაკებო.) უფრო თავისუფალ-  
ნი, უფრო ლაღნი, ხმაურიანნი... თითქოს ცხო-  
ვრებაში ყველაფერი რიგზეა, არ არის სიც-  
რუე. სიყაღბე. ბოროტება, დანაშაული... ეს

აბესალომიც ისეთი უბრალო იყო, თითქოს  
ჩვენი ტოლი... ადრე მეგონა, რომ ყველა უბე-  
დურება აქ იწყებოდა, სამართალდამცავ ორ-  
განობაში, აქ, ამ კაბინეტში... ახლა კი... ახ-  
ლა უკვე ვეღარ ვხედავდი იმათ. ვისთანაც  
უნდა მებრძოლა... და მეც მომინდა ამ ბიჭე-  
ბისნაირი გავმხდარიყავი... ვყოფილიყავი ამა-  
თსავით ძლიერი, მძლავრი, მოქნილი... (სიგა-  
რეტი ბრაზით ჩაქუციტა საფერფლეში.) და  
როცა მე ეს მოვინდომე... რამდენმა რამემ  
მოიყარა თავი ჩემს ხელში... რა ძლიერი გავ-  
ხდი უბე... ისეთი ადამიანები დამდევდნენ  
კულში, ვინც... (პაუზა. მწარე ღიმილით შეს-  
ცქერის ჩხარტიშვილს.) ეს ხალხი ადრე სალ-  
მის ღირსსაც კი არ მხლიდა. მჩატე ვიყავ და  
ტალღასავით მძლავრი, სადღაც გაქარბოლმა,  
რა გემრიელი იყო ცხოვრება! ბოლოს კი...  
(სიგარეტი ისევ ამოიღო, მოუყიდა.) ყველა-  
ფერი სულ უბრალოდ მოხდა, ძალიან უბრა-  
ლოდ, შარშან რეზო სებისკვერამის ბაზას და-  
ვეციით თავს. რეზო იქ ახალი მისული იყო.  
ყველაფერი რიგზე ჰქონდა... დაქერა არ გამო-  
დიოდა, აბესალომი კი გვეუბნებოდა, უნდა  
გაქედოთ... ერთ დღეს რეზომ ბრაზით შე-  
მომძახა: „შენ მაინც რა მოგივიდა, იქ, ავღა-  
ნეთში სულ სხვა ბიჭი იყავი, სულ სხვანაი  
რად ლაპარაკობდი, დღეს კი შერთლა „ავჩარ  
კა“ გამხდარხარ, როგორც ხალხი გეძახისო“  
(პაუზა. არჩილი უხმოდ დგას გატეხილი).  
გავბრაზდი, ძალიან გავბრაზდი, მაგრამ...  
(დუმილი.) მერე სიზმრებშიც არ მასვენებდა  
რეზო ხელში დიდი, უზარმაზარი სარკე ეჭი-  
რა, მე გრძელ. გრძელ ტრასაზე მოვდიოდი  
და იმ სარკეში ვხედავდი, თუ როგორ ავც-  
დი მთავარ გზას.. გზა იქით იყო, მე კი ტუქში  
შევდიოდი, თითქოს არ მინდოდა, მაგრამ მა-  
ინც შევდიოდი.. გადმოქანებული მანქანის ორი  
ბორბალი ჰაერში ტრიალებდა, მიწაზე კი ორი  
მოგორავდა. ჩემს სახესაც ვხედავდი სარკეში  
— გაბადრული, ბედნიერი ვუჩქეკი საუბრე და  
ვერ ვგრძნობდი, რომ ეს ორი ბორბალიც მა-  
ლე მოწყდებოდა მანქანას (მწარედ.). რატომ,  
რატომ გაგვახდევინეს შოვნა მთავარ საქმედ?  
იმიტომ რომ, იმაზე არ გვეფიქრა, რაც მართ-  
ლა მთავარია? (შესძახა და სული მოითქვა.  
ამიტომ სულ სხვა, უფრო მშვიდი კილოთი გა-  
ნაგრძო) ამის მერე ფული ქალაღი გახდა,  
ავეჯი — ხე, ბუნება — მკვდარი, ადამიანი —  
მსხვერპლი. და აი, სწორედ ამ დროს დამიძა-  
ხეთ თქვენ. დამიძახეთ და დამანახეთ, რომ  
ადამიანებმა შეიძლება იპოვონ ერთმანეთი  
მანამდე, დროდადრო მინდოდა სადღაც, შორს  
გავქცეულიყავი, გადავკარგულიყავი, მაგრამ  
ირგვლივ რომ ჩვეულებრივად მიდიოდა ცხოვ-  
რება? ირგვლივ რომ არაფერი იცვლებოდა?  
სად გადავკარგულიყავი? რა აზრი ჰქონდა?  
ისევე აქ. ისევე აქ უნდა მეპოვა ადამიანები; მე

ვიცი, რომ სხვებიც ფიქრობდნენ ასე, მაგრამ მე მათ ვერ ვსაუბრობდი... დაი აი, დამიძახებთ თქვენ და მე საბოლოოდ გადავწყვიტე — დაუჭერებელი, სასაცილოც კი დღეს ასე არ იქცევიან და იმიტომაც სასაცილო, როცა ცოდვას ყველა სწავლის, თავიც არავის ჰგონია ცოდვილი. გადავწყვიტე, ცხოვრება შემეცვალა. ის ვიპოვე, რაც მეწადა (მწარედ). ეშმაკმა წმინდანობა მოინდომა... მაგრამ სხვა ეშმაკებიც ხომ არიან ქვეყანაზე... ამიტომ დღეს უნდა დამაპატიმრონ. უკვე აღიძრა საქმე! და მე თქვენთან მოვედი. იქნება მიხსნათ, იქნება გამოიყვანოთ ისევ იმ გზაზე, მთავარ გზაზე! (გაჩუმდა. დუმილი კარგა ხანს გრძელდება.) ჩხარტიშვილი. შენ უკვე დგახარ ცხოვრების მთავარ გზაზე. შენ უკვე თავისუფალი ხარ, სულიერად ხარ თავისუფალი... (პაუზა.) მაგრამ...

სტენის მეორე კუთხეში განათდა აბესალომის მაგიდა. აბესალომი ნომერს კრეფს.

ბაბსალომი. ბატონო, გიორგი... ერთი უსიამოვნო ამბავია... სანიკიძე დაგვეშალა... გაიქცა, დიხა... კი, ბატონო... თავი მოგვეჭრება, მთელ სამინისტროს მოეჭრება თავი... კი, ბატონო... (ყურმილი დადო. ფიქრობს. ავტომატი ჩართო.) რას ვგრებთ? ისევ იქ არის? კიდევ არ გამოსულა? არ მოსცილდნენ იქაურობას. ერთი მოსაცდელში დასვით, ვითომ მიღებაზეა. ზო, სად უნდა წავიდე, აქ ვიქნები ამ კუთხეში. შუქი ჩაქრა.

ჩხარტიშვილის კაბინეტი.  
ბრჩილი. შერედა, ცხოვრებას რა უფრო გამოადგება. უღმობლად დასჯილი, თუ სულიერად გათავისუფლებული კაცი?

ჩხარტიშვილი. ჭერჭერობით კანონის მკაცრი ასრულება გვშველის.

ბრჩილი. ყველაფერი გამოვიარე და სწორედ მაშინ, როცა ცხოვრების აზრს მივაგენი, მატარებლიდან უნდა ჩამოვიდე?

ჩხარტიშვილი (პაუზის შემდეგ). არ ვიცი, არ ვიცი... მოდი, ასეთი რამ გავაკეთოთ... აი, აქ მოხსვენებელი ოთახი მაქვს... ყველაფერია შიგ... იყავი, ვნახოთ. თუ შენი ცოდვა უფრო დიდი არ არის, ვიდრე მომავლის იმედო...

კვლავ განათდა აბესალომის მაგიდა. აბესალომს კვლავ ყურმილ უჭირავს ხელში.

ბაბსალომი. ისევ მე ვაწუხებთ, ბატონო გიორგი. რა ვქნა, ძალიან მიუხერხულდება, მაგრამ... ცოტა უცნაური ამბავია... შეტისმეტად უცნაური!... სანიკიძე, ჩხარტიშვილის ქაბინეტთან ნახეს უკანასკნელად... ამის შერე გაქრა... იქ შევიდა, კი... ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ იქ შევიდა (ყურადღებით უსმენს.) მართალი ბრძანდებით, მაგრამ ქალაქკომის მდივანი ჩემი დონე არ არის... უბრალოდ... თქვენთვის კი...

თქვენთვის ყველა კარი ღიაა (ყურმილი დასდო. საეარძელში არხენად გადაწვა. ერთხანს გარინდებულია. ისიც კი გეგონებთ, ჩაეძინაო. შერე ისევ დასწვდა ყურმილს. რეკავს.). ნიკოლაევიჩ, ერთი ეს მითხარი, თუ ღმერთი გწამს: მართალია, ამ ჩვენს პირველ მდივანზე რომ ამბობენ? კი? არ გაგიგია? მაგრამ შეეშალაო არა? ისე, ეს ამბავი რომ მოხდეს, ჩვენ შეიძლება დაწინაურებაც კი მოგვიწიოს, ჰა? ასე ამბობენ და... ხალხი, მთელი ქალაქი დაპარაკობს.. კარგი, ბატონო... უკაცრავად, ხომ იცი, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება! (ყურმილი დადო. კვლავ საეარძელში გადაწვა.) ითამაშეთ ახლა პერესტროიკობა! კვლავ ჩხარტიშვილის კაბინეტი.

ბრჩილი. მეცხოვრა ისე, რა იქნებოდა ვინ ეწევა დღეს თავის ცხოვრებას, ვინ აკეთებს თავის საქმეს! ვინ არის მართალი... დიდხანს ხომ არც მე ვიცი, რა არის ნამდვილი ცხოვრება. რამდენია ასე, რამდენია სიბნელეში რომ დადის და არ იცის, სულ ორ ნაბიჯზე რომ ხინათლება.

ჩხარტიშვილი (გალიზიანებული). შენს გზაარეულობას მომავლის იმედი აპართლებს, თორემ... რასაკვირველია, შენ იქ უნდა იყო, ციხეში! რასაკვირველია, შენი ადგილი იქ არის, მხოლოდ იქ...

ბრჩილი (სასწრავეთილი). არა, არა, არა! რახან ამ გზაზე დამყენეთ, ბოლომდე... (რეპლიკა ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა).

ჩხარტიშვილი (აპარატს მრავალმნიშვნელოვნად დახედა, შერე არჩილს შეხედა). გისმენთ, ბატონო მიხეილ. გეახლებით, კი, ბატონო, ამ წუთში... (ყურმილი დადო. ერთხანს უხმოდ ზის, შერე თითქოს საკუთარ თავს ეუბნებაო.) ეს აპარატი იშვიათად რეკავს. თანაც ამ დროს... გვიანაა უკვე... (არჩილს.) შედი იმ ოთახში, რაღაცას მოვიფიქრებ, დაძინებაც შეგიძლია.

ბრჩილი (მწარედ). ძილი წიგნები არის?

ჩხარტიშვილი. ყველაფერი არის! (ეს ზარი არ ესაიპოვნა. ამიტომ გადის ასე შეფიქრიანებული).

ბრჩილი. ერთი რამ მინდა გკითხოთ (არჩილი მობრუნდება, მაგრამ აშკარა, რომ მისი ფიქრები სხვა რამეს დასტრიალებს თავს.), რატომაა, რომ ადამიანს ყველაფერი კარგი მაშინ აგონდება, როცა გაუჭირდება? ეს ორი დღეა...

ჩხარტიშვილი (ვერაფერი გაიგო. არც უსმენდა). ვნახოთ, ვნახოთ... მე წავედი. (გადის). დაბნელება.

6.

ქალაქკომის ერთ-ერთი მდივნის, მიხეილ იაშვილის კაბინეტი. შემოდის ჩხარტიშვილი. მიხეილი. შემოდი, შემოდი, რა ამბავია?



რატომ ატენთ ეს აურზაური? (ჩხარტიშვილმა უსიტყვოდ თქვა, ვერ გავიგო.) რა ხდება თქვენთან?

**ჩხარტიშვილი.** ისეთი არაფერი! **მიხეილი.** და შენ მიგაჩნია, რომ განსაკუთრებული არაფერი?

**ჩხარტიშვილი.** არაფერი!

**მიხეილი.** მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი გზირიშვილი მირეკავს, რომ რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტში თავს აფარებს მექრთამეობაში მხილებული არჩილ სანიკიძე, შენ კი მეუბნები, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება!

**ჩხარტიშვილი.** ტყუილია. ის თავს არ აფარებს.

**მიხეილი.** დაკავებული გყავს? პირველი მდივანი ხალხს იჭერს? მოკვდა ის დრო, რაიკომის პირველი მდივანი ხალხს რომ აპატიმრებდა. მადლობა ღმერთს, ჩვენ სულ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ.

**ჩხარტიშვილი** (მრგვალმნიშვნელოვნად). ვიცი, ბატონო მიხეილ.

**მიხეილი** (გალიზინებული). მერე რა, რომ იცი? მაგით რა შეიცვალა?

**ჩხარტიშვილი.** ბატონო მიხეილ...

**მიხეილი.** უწარმაზარი რაიონი ჩაგაბარეს, მიხედა უნდა საქმეს! ახლავე წადი, მილიციის უფროსს დაურეკე და საკუთარი ხელით ჩააბარე ბოროტმოქმედი! არ გახმაურდეს ეს ამბავი! ისიც საკმარისია, ვინც იცის (ჩხარტიშვილი აღვილიდან არ იძვრის.) რას ელოდები? ახლავე დაამთავრე ეს საქმე! (ჩხარტიშვილი კვლავ უძრავად დგას.) თუმცა, დროს ნულარ დაკარგავ, აქედანვე დარეკე და თვითონვე მოავგარებენ ყველაფერს (ყურმილი მიაწოდა).

**ჩხარტიშვილი.** ბატონო მიხეილ...

**მიხეილი.** ისედაც რა დღეში ვართ, ამ ფოკუსებით ნუ გვირთულებ ცხოვრებას.

**ჩხარტიშვილი.** ბატონო მიხეილ, უნდა გითხრაო, რომ არ შეიძლება...

**მიხეილი** (უცებ იფეთქა). რა ბატონო მიხეილ, რის ბატონო მიხეილ, რა არ შეიძლება, გამაგებინე, გამომართვი ეს ყურმილი და საქმეს მიხედე!

**ჩხარტიშვილი.** მე მილიციის უფროსს არ დავურეკავ, ბატონო მიხეილ!

**მიხეილი.** რა?

**ჩხარტიშვილი** (უფრო დაჭერებულიად). მე მილიციის უფროსს არ დავურეკავ.

**მიხეილი** (რამდენიმე წამი უხმოდ შესცქერის ჩხარტიშვილს, მერე ყურმილი დასდო, თვითონაც სავარძელში ჩაეშვა. სრულიად სხვა, შეცვლილი კილოთი). კარგით, თავისუფალი ხართ!

**ჩხარტიშვილი** მე მინდა მომისმინოს! **მიხეილი.** რა საკითხზე?

**ჩხარტიშვილი.** სწორედ სანიკიძის საკითხზე.

**მიხეილი.** დაკავებული რომ არ ვიყო, მოგისმენდით, მინტერესებს, რა გამართლებას აძლევთ თქვენს საქციელს.

**ჩხარტიშვილი.** მაშინ შევეცდები პირველმა მდივანმა მომისმინოს.

**მიხეილი** (გაოცებული). და შენ ვინდა ეს ამბავი რჩეულიშვილის ყურამდც მივიღებ? **ჩხარტიშვილი.** თუ თქვენ არ მომისმენთ, იძულებული გავხდები.

**მიხეილი.** კარგით, პირველ მდივანს მე მოვახსენებ (პაუზა, ჩხარტიშვილი ჯიუტად შესცქერის მიხეილს).

**ჩხარტიშვილი.** უფრო სწორი იქნება, თუ ამხანაგი რჩეულიშვილი ჩემგან გაიგებს ყველაფერს (მცირე პაუზის შემდეგ კი დასძინა). ამით თქვენ უხერხულობასაც აიცილებთ თავიდან.

**მიხეილი** (პაუზა, რომლის განმავლობაშიც ჩხარტიშვილი უკეყოფილოდ და ყურადღებით შეათვალიერა). გისმენ.

**ჩხარტიშვილი.** თქვენ კარგად იცით, მე არასოდეს მომსვლია აზრად გავმხდარიყავი რაიკომის პირველი მდივანი. ინსტიტუტშიც ქვეყნისთვის საჭიროს საქმეს ვაკეთებდი, მაგრამ რომ დამიძახეთ, სიამოვნებით დაგთანხმდით.

**მიხეილი.** ეს ძველი ამბავია, საქმეზე! **ჩხარტიშვილი.** წამოგედი, რადგან მწამს გარდაქმნა, მაგრამ ამ რამდენიმე თვეში რაღაც დასკვნები გამოვიტანე და...

**მიხეილი** (აწყვეტინებს). სანიკიძის საკითხზე, ხომ მითხარიო!

**ჩხარტიშვილი** (თითქოს მიხეილის რეპლიკა არც გაუგონია). ჩვენი დიდი ნაკლი ის გახლავთ, რომ მუდამ დღევანდელი დღით ვცხოვრობთ, მხოლოდ დღევანდელი დღით.

**მიხეილი.** ხომ იცით, რომ ათ წუთში თათბირი იწყება.

**ჩხარტიშვილი.** დიახ, ჩვენ არასოდეს არ გვცალია. გვეჩქარება, რადგან მუდამ დღეის საქმეს ვაკეთებთ. გვინდა, დღეს იყოს ყველაფერი კარგად. ზვალისთვის კი არასოდეს გვცალია!

**მიხეილი.** მე მართლა არ მცალია!

**ჩხარტიშვილი.** თუ ჩვენ დღევანდელი გამარჯვებით ტუბოზა არ დავთმეთ, არა მარტო გარდაქმნა, საერთოდ არაფერი გამოგვივა. სანიკიძის მე დაწინაურება შევთავაზე, თუმცა ვიცოდი, რომ იგი ვაზვეუღია კორუფციაში.

**მიხეილი** (გაოცებული). იცოდით?

**ჩხარტიშვილი.** დიახ, ვიცოდი, რომ ის გახადეს გამანაწილებელი მთელი განყოფილებებისთვის განკუთვნილი ქრთამისა. ის იყო ეგრეთ წოდებული ფოსტა.

**მიხეილი.** დაფიქრდით მაინც, რას ამბობთ? იცით, ეს რას ნიშნავს?

**ჩხარტიშვილი.** ყველაფერი ვიცოდი და, მაინც მასზე შევაჩერე არჩევანი.

**მინხილი** (ცივად, კილო შეეცვალა). რატომ? მასზე რატომ შეაჩერეთ არჩევანი?

**ჩხარტიშვილი.** მთელი განყოფილება ჩვეფლო კორუფციის ქაობში, უკვე აღარაფერი აინტერესებთ, გარდა...

**მინხილი.** სად არის გარანტია, რომ ხვალ თვითონაც იგივეს არ გააკეთებს, იქნებ მეტიც მოითხოვოს. მითუმეტეს, რომ უკვე შემდგარა ამ გზაზე.

**ჩხარტიშვილი.** ხელმოკლე ოჯახში გაიზარდა, ინსტიტუტი კარგად დაამთავრა, ჯარი ავღანეთში ქმობდა, მედალიც მიიღო, დაიჭრა კიდეც, შეუძლებელია, ასეთ ახალგაზრდა კაცში არ გაიდვიდოს სიკეთემ. ეს ერთი. მეორე და მთავარი — მას ყველაფერი ხელისგულზე უდევს, მთელი რაიონი იცის, იცის, ვინ რას აკეთებს და თუ ამ ბიჭს ვენდობით, ისიც გარდაიქმნება.

**მინხილი.** თუ ვენდობით, თუ გარდაიქმნება, თუ, თუ... ეს ხომ გარანტია არ არის?

**ჩხარტიშვილი.** არავითარი გარანტია მე არა მაქვს, მაგრამ მინდა ვენდო ახალგაზრდა კაცს.

**მინხილი** (იციინის). სად? მილიციაში?

**ჩხარტიშვილი.** დიახ, მილიციაში! სწორედ მილიციაში, რადგან ბევრი ჩვენი უბედურება სწორედ იქ იწყება. სანიკიძეებსა და მის წინამორბედთ აი, ამჭევარ კაბინეტებში იმდენი ფული მიუტანიათ მაგ ადგილების ხელში ჩასაგდებად, რომ მათ სხვაგვარად ვერც წარმოუდგენიათ. აქ იმითმ მოაქვთ, რომ მერე სხვებისგან აიღონ, ის სხვები კიდეც სხვებისგან იღებენ და აი, ასე გადადის ცხოვრებაში ორ-სამ კაბინეტში ჩადენილი ცოდვა. მათ შეჰქმნეს თავიანთი მოდელი — ჩვენი ცხოვრება ორ ველაზე დგას — ძალა და სამართალი: ძალა ჩვენა ვართ. სამართალი კი მათს ხელშია. ჩვენ იმითმ არ გვეშინია სამართლისა, რომ ძალა წარმართავს სამართალს. სამართალი კი არ ჰქმნის ძალას, არამედ ძალა წარმართავს სამართალს. ძალის სამართალზე გატოლება კი იმათაც აძლევთ ხელს, რადგან ჩვენი სახელით ისე ატრიალებენ სამართალს, როგორც მოეპრიანებათ. ამიტომ მინდა მაგალითი მივცე.

**მინხილი.** შექროამე კაცის დაწინაურებით?!

**ჩხარტიშვილი** (შემცბარი, თითქოს განიარაღებული). თქვენ მე ვერ გამოიგეთ.

**მინხილი.** და ასე გეხმით თქვენ გარდაქმნა!

**ჩხარტიშვილი** (მცირე პაუზის შემდეგ, თითქოს გატეხილიც კი). არსებობს ბატონო მიხეილ, არსებობს ახალგაზრდა კაცზე რისკის გაწევის უფლება, ვენდოთ, ვაგრძნობინოთ, რომ ისიც ჩვენაირია და ჩვენი ზნეობრივი კანონებით უნდა იცხოვროს, რომ მისი მთავარი

რი საქმე ჩვენი ქვეყნის ფხანა კი არ არის, არამედ სამართალი, სა-მართალი... რომ კანონის ეწინააღმდეგეთ, კანონს პატივს სცემდნენ...

**მინხილი.** და გინდათ ეს უთხრათ რჩეული-შვილს?

**ჩხარტიშვილი.** დიახ და სწორედ ამიტომ გთხოვთ დახმარებას. მე მჭერა ამ ბიჭის ხვალისდელი დღის, მჭერა...

**მინხილი** (გააწყვეტინა) ჩემი დახმარება ის იქნება, რომ რჩეულიშვილთან არ მივიშვებთ. ეს ერთი. მეორე და მთავარი (პაუზა, კარგა ხანს დუმს.) შე კიდეც ერთხელ გირჩევთ, გთხოვთ კიდეც: ახლავე დაურეკეთ მილიციის უფროსს, გადაეცით სანიკიძე. ჩვენ არა გვაქვს ასე აჩქარების უფლება.

**ჩხარტიშვილი** (დაბნეული). კი მაგრამ, ნუთუ, ის, რაც მე გითხარით, არ გარწმუნებთ, რომ...

**მინხილი.** არა, არ მარწმუნებს (ცივად წამოდგა, მკვეთრად), თათბირს ვიწყებ.

**ჩხარტიშვილი** (დაბეკითებით). კარგად ბრძანდებოდეთ! (გაღის).

**მინხილი** (ერთხანს უხმოდ დგას, ფიქრობს, ყურმილს დასწვდა). დაურეკეთ გიორგი გზირიშვილის, ორი კაცი გაგზავნოს ჩხარტიშვილის კაბინეტში, სანიკიძე იქ არის და წაიყვანონ (ყურმილი დადო, მაგრამ არ არის დარწმუნებული, რომ სწორად მოიქცა, ამიტომ სხვა ყურმილი აიღო). რჩეულიშვილი ადგილზე? მადლობთ! (ყურმილს დადებს და ჩქარი ნაბიჯით ტოვებს ოთახს).

დაბნელება.

7.

დაღამდა კიდეც. ჩხარტიშვილი ფიქრში ჩაძირული შემოდის თავის კაბინეტში, ღამის ნათურას ანთებს და სავარძელში ჩაეშვება. რალაც ვერ გადაუწყვეტია, რალაც ვერ მოუფიქრებია და ეს აზრი მტანჯველად აწევა გულს. ორჯერ წაიღო ხელი ყურმილისაკენ, ორჯერვე დაუშვა. მერე დაბეკითებით, გადაწყვეტილად აიღო ყურმილი.

**ჩხარტიშვილი.** გამარჯობათ, ჩხარტიშვილი გახლავართ. მოახსენეთ პირველ მიდვანს, რომ მისი ნახვა მსურს... ათიოდ წუთით... კარგით.

(ჩხარტიშვილი ელოდება, მისი ნერვიულობა იმაში გამოიხატება, რომ შეუჩერებელი ანთებს და აქრობს ღამის ნათურას.) დიახ გისმენო. იქნებ, ხვალ? ზეგაც არაო? (დუმილი. ჩხარტიშვილი უაზროდ მისჩერებია აპარატს, ყურმილს დებს).

ოთახში უხმოდ შემოდის ორნი. კარში ჩადგნენ და მოკრძალებულად ელოდებიან, თუ როდის შეამჩნევს ჩხარტიშვილი. ფიქრებში ჩაფლული ჩხარტიშვილი კი მათ ვერ ამჩნევს. ამიტომ ერთ-ერთი ჩახველებს.



**ჩხარტიშვილი.** თქვენ ვინ გნებავთ? რა ხდება?

**გოგი.** ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვახლავართ... სანიკიძე უნდა წვაიყვანოთ. ჩხარტიშვილი. კი მაგრამ... რა უფლებით... ვინ...

**გოგი.** განკარგულება ახელი.

**ჩხარტიშვილი.** ვისი განკარგულებაა?

**გოგი.** ჩვენ გიორგი გვირიშვილმა გამოგვაგზავნა.

დუმბილი.

**ჩხარტიშვილი** (ლამის გაცოფებული ეცა ტელეფონის აპარატს, მოუთმენლად). ისევ ჩხარტიშვილი ვაწუხებთ, აუცილებლად უნდა მიმიღოს პირველმა მდივანმა, ახლავე, დაუყოვნებლივ. (თითქმის ბრძანებით.) თქვენ შედით და მოახსენეთ, რომ ვთხოვლობ სასწრაფო მიღებას! გელოდებით! (გოგის და ავტოს.) დაბრძანდით, დაბრძანდით... ახლავე... (ყურმილში.) გელოდებით! (გოგის და ავტოს.) დაბრძანდით, დაბრძანდით... აი, აქ დაბრძანდით.

**გოგი.** გამადლობთ... (დაჯდა. ავტოს კი ანიშნა, კარში ჩადექო. ეს ჩხარტიშვილმაც კარგად შენიშნა).

**ჩხარტიშვილი** (ყურმილში). დიახ, გისმენთ (დუმბილი. ყურმილი დადო. მცირე პაუზის შემდეგ წამოდგა). იცით რა, ბიჭებო, კარგად იყავით!

**გოგი.** არ შეიძლება, თქვენ უნდა დაესწროთ... უფლება არა გვაქვს... ახლავე, ამ წუთში... (ავტოს დასასვენებელ ოთახზე ანიშნა, შედი, გამოიყვანეო, კარში კი თავად ჩადგა.) რას იზამთ, სამსახური სამსახურია.

**ჩხარტიშვილი** (არ დაჯდა, ფეხზე მდგარი ელოდება ავტოსა და არჩილის გამოსვლას, მწარე ღიმილით). რა გეწყობა, სამსახური სამსახურია.

(მაგრამ ავტო მარტო და დაბნეული გამოდის დასასვენებელი ოთახიდან)

**გოგი** (შეშფოთებული). რა იყო?

**ავტო.** არ არის (ჩხარტიშვილი დასასვენებელი ოთახისაკენ კი არ წავიდა, გაიქცა).

**ავტო** (ჩხარტიშვილზე). აშან ათესა?

**გოგი.** ფანჯრიდან ზომ არ მოტყდა!

**ავტო.** .იქ ფანჯარა ხაერთოდ არ არი.

ოთახიდან გამოდის ჩხარტიშვილი, დაბნეული, შეძრწუნებული იმით, რაც მოხდა.

**ავტო.** აი ცირკი?!

**გოგი.** რა ვქნათ? (უხმოდ შესტკერის ჩხარტიშვილს, ჩხარტიშვილი კი ვერ გრძნობს ამ მზერას. ავტომ ტელეფონზე ანიშნა, დარეკეო. გოგიმ ეს საშველად ჩათვალა და ჩხარტიშვილს ეკითხება.) ალბათ, წინააღმდეგი არ იქნებით, რომ...

**ჩხარტიშვილი.** არა, არა... ინებეთ!..

**გოგი** (ნომერს კრებს). საქმე იმაშია, რომ

სანიკიძე არ დაგვხვდა... გაქცეულა. დიახ, დიახ... კი, ბატონო, დიახ, აქ კაბინეტში, (ყურმილი დადო. ამ ფრანს ჩხარტიშვილს უფრო ეუბნება.) არსად წახვიდეთ, დაგირეკავთ.

**ავტო.** ტელევიზორი არა გაქვთ? (ჩხარტიშვილს თითქმის არ ესმის, ფიქრებშია ჩაფლული.) აქ, თქვენს კაბინეტში ტელევიზორი არ არის?

**ჩხარტიშვილი.** ა?

**ავტო.** კაბინეტში ტელევიზორი არ გქონდათ? მაგარი დეტექტივი მიდის. (გოგის.) რა გოგოა არა? (არც გოგიმ მიაქცია ყურადღება მის ნათქვამს.) მისაღებში დავინახე, იქ გავალ... (გადის).

დუმბილი.

**გოგი.** არ უნდა ექნა ასეთი რამ... თქვენთვის არ უნდა ექნა! (ჩხარტიშვილი უხმოდ დგას, შინაურული კილოთი.) ნათესავია? (დუმბილი.) კლასელი? თუ ნათესავია, ან თანაკლასელი, მითუმეტეს, არ უნდა ექნა. ატყუდება ახლა რეკვები... რა მასალა ჩაიგდეს ბედში!

**ავტო** (შემოდის). დამთავრებულა. რა გლეჯვის გოგოა! აი, ნაღდი დეტექტივი!

ტელეფონის ზარი.

**ჩხარტიშვილი** (ყურმილი აიღო). დიახ. (გოგის.) თქვენ გეძახიან.

**გოგი** (მოწიწებით, თავზიანად). დიახ, გისმენთ... კი ბატონო, ახლავე (ყურმილ დადო, ჩხარტიშვილს თავისუფლად, ზანტადაც კი.), თქვენთან ორიოდ შეკითხვა აქვთ... და...

**ჩხარტიშვილი.** მე უნდა გამოგყვით?

**გოგი.** დიახ.

**ავტო** (იღრჩიება). ორიოდ შეკითხვა... ში-ში-ში... ორმოცი ქვეშეკითხვა რო აქვს...

**ჩხარტიშვილი** (წამოენთო). იცით რა... კარგად ბრძანდებოდეთ (ჩქარი ნაბიჯით გადის)

**გოგი.** ბატონო რეზო, ბატონო რეზო, ნუ იზამთ ამას... არ შეიძლება! (მაგრამ ჩხარტიშვილი არც მობრუნებულა, ჩქარი ნაბიჯით დატოვა ოთახი.)

**ავტო.** ე, ესეც მოტყდა, აზრზე ხარ? რა ვქნათ?

დაბნელება.

**მოქმედება მეორე**

8.

ქეთინოს ბინა. არჩილი ვიდეომაგნიტოფონს კოლოფში ათავსებს. მერე ზონარს შემოახვევს.

**არჩილი.** არ შეიძლება ასე; არაფერი გამოდის. ადამიანს უნდა ჰქონდეს, ბევრი უნდა ჰქონდეს, რომ მიხვდეს, თუ რისთვის ცხოვრობს.

**ქათინო** (ბრაზით). მე რატომ შეუბნები მაგ სიბრძნეს!

**არჩილი.** იმიტომ, გეუბნები, რომ მათხოვარი ვიყავი და ქაჭურად ვიქცეოდი, ბევრი, ბე-

ყრი, ბევრი. რაც შეიძლება მეტი ყველა ასე იქცეოდა და მეც მეგონა, მაყუთი იყო ყველაფერი. მეგონა აი, ამეების შოვნა იყო მთავარი.

**ქატიინო.** შენ ხომ არ გააფრინე?

**არჩილი** (მაგნიტოფონი კუთხეში მიდგა, ქეითინოს ეხვევა). კარგი, ნუ შუბნურობ.

**ქატიინო** (არჩილის ხელი მოიცილა). დამანებე თავი!

**არჩილი.** ბებულები?

**ქატიინო** (გაკვირვებული). რა ბებულები?

**არჩილი** ბებულები (პაუზა, რომლის განმავლობაშიც ქეითინო თითქმის სიძულელით შესცქერის არჩილს. მშვიდად) მეჩქარება. ძალიან მეჩქარება. ყოველი წუთი ძვირფასია (ქეითინო უხმოდ გადის საძინებელ ოთახში, მალე შემობრუნდება და ზიზღით მიიჩეჩებს ბებულებს.) აჰ, ის?

**ქატიინო** (თითქმის მუქარით). რომელი?

**არჩილი.** მხსვილთვალიანი, კუთახისელი ტიპისაგან რომ ვიყიდე.

**ქატიინო.** კი არ იყიდე, ჩამოართვი და მე მომიტანე. დაგავიწყდა, სიცილით რომ ყვებოდი, როგორ გაუხუტეთ იმ კაცს გული?

**არჩილი.** ჰო, სად არის?

**ქატიინო.** ბებიაშენისამ! ეგლა მაკლდა!

**არჩილი** (გაფრთხილების კილოთი). ქეითინო!

**ქატიინო.** რა გინდა, რა გამიხურე! აქ რა, შემნახველი საკანი გქონდა? ახლა აღარ გინდა და სხვასთან მიგაქვს? მოგბეზრდი? ყელში ამოგივდი? აი, ჩააფურთხე! (ზიზღით.) თუმცა, არა, მათხოვარი ყოფილხარ და ყველაფერს გაგატან. წადი, წადი (კარადან გამოაღებს, იატაკზე ყრის კაბებს, ქურქს, კოსტიუმებს.) წადი, წადი! აი ეს ქურჭიცი წადი; ეს ქურთუკიც. მომიხიდი! მაიმუნი ყოფილხარ! მათხოვრის უნდა გეშინოდეს — რაც უნდა გაძღეს, მაინც მათხოვრად რჩება! ჭერ ყველაფერი მოგქონდა, ახლა მიგაქვს, ისე, როგორც იმ საცოდავი ხალხისგან მოგქონდა.

**არჩილი.** შენ რა, სულ არაფერი? სულ არაფერი გქონდა ჩემთან? სულ ისე იწყე? ბოზი ხარ? მითხარი (ქეითინომ სილა გააწნა, არჩილიმა ხელი დაუქირა.) აბა, რატომ მეხვეოდი, რისთვის?!

**ქატიინო.** ისე გეხვეოდი, როგორც შენ გინდოდა!

**არჩილი.** სულ ისე? მხოლოდ ამ კინებების გამო?

**ქატიინო.** შენ ხომ ერთხელაც არ გითქვამს, მიყვარხარო, ერთხელაც!

**არჩილი.** აბა, ესენი რატომ მომქონდა, რისთვის!

**ქატიინო.** იმიტომ რომ გეყიდე! იმიტომ რომ, მაშინ მოსულნიყავი, როცა გინდოდა, იმიტომ რომ, სულ შენი ჩათლახი ვყოფილიყავი

(ხალათი გადაიხსნა, თითქმის შიშველი სხეული გამოაჩინა.) აი, ყოველთვის ასე ვყოფილიყავი, მზად!

**არჩილი** (ლაშის ისტერიულად). არა, არა, არა! არა-მეთქი! (მივარდა, მოეხვია).

**ქატიინო.** ხელი, ხელი გამიშვი! შენ მე მიყიდე, აი, ამეებით მიყიდე და ისიც კი დამავიწყე, რომ ქალი სიყვარულით უნდა წვებოდეს კაცთან. მე ეს უკვე აღარ მახსოვდა, ან ვცდილობდი დამვიწყნოდა, სადაც გულის სიღრმეში ვმაღავდი, ისე, როგორც ხიყმაწვილში ჩაღვნილ ცოლვას მაღავენ.

**არჩილი** (თითქმის სასოწარკვეთილი დაეშვა სკამზე). რას ამბობ, ქეითინო, რას?! მე ხომ შენი ცოლად შერთვა მინდოდა. თუ ვინმეს შევირთავდი, მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ!

**ქატიინო.** შაყირიც დამიწყე? მაშაყირებ კიდევ? მოკეტე!

**არჩილი.** არა-მეთქი, არა!

(შემოდან გოგი და ავთო. გოგი მყისვე მივარდება არჩილს და ხელებზე ბორკილს დაადებს).

**ქატიინო** (შეკვივლებს). აჰ!

**არჩილი.** არა, არა, ბიჭებო, აქ არა, ახლა არა!

**გოგი.** კაცი რომ იმალება, კარი მაინც უნდა დააკეტოს!

**ავთო.** მართლა ნაშასთან არ ყოფილა?

**გოგი** (ქეითინოს). უკაცრავად, სხვა გზა არ გვქონდა (არჩილს.) წავიდით!

**ქატიინო.** რა ამბავია, რა ხდება, გამაგებინეთ!

**ავთო.** ისეთი არაფერი, ამასთან ლაილი უნდათ და მიგყვავს (მიმოიხედა.) ეს რა — გამოფენა გაქვთ?

**არჩილი.** ერთი პატივი უნდა მცეთ, ბიჭებო! თქვენ წადით, მე მოვალ. მინდა თვითონ გამოვიცხადდე.

**გოგი.** შენ რომ იცოდე, რა ბაზარია ატეხილი, მაგას არ იტყუდი!

**ავთო.** დაუსტინა, აი!

**არჩილი.** ხომ იცით, რასაც ნიშნავს, თუ გამოვიცხადებო.

**ავთო.** რად გინდა ახლა ეს კომპოტი!

**გოგი.** არ გამოვა!

**არჩილი.** მე ყველაფერი ეს იქ მომქონდა. მოვიტან, ჩავაბარებ.

**ავთო.** მილიცია საკომისიო მაღაზია ხომ არ არი!

**გოგი.** თვითონ წაიღებენ. შენ დარდი ნუ ბეჭენბა!

**არჩილი.** მე რომ მოვიტან, სხვა არის.

**გოგი.** რა მოგივიდა!

**ავთო** (ქეითინო უკრადლებით შეათვალღიერა). მერე ეს შიშველი უნდა დატოვო?

**ქატიინო** დასხედით!

**გოგი.** რა დროს დაქდომა!

აპთო. წავიდეთ, წავიდეთ, გველოდებიან!  
ქათინო. დასხედით! (არჩილზე მიუთითა.)

აი, ხედავთ, ეს აქ არის, მაგრამ არ არის.

აპთო. გვაძინებ?

გოგი. ახლა მაგის დროა?

ქათინო. მოხვედით და აქ არ დაგხვდათ.  
შეიძლება ხუთ წუთში მოვიდეს, მაგრამ ახლა არ არის... არ არის და, რა უნდა ჰქნათ?! რამდენი უნდა ამას ყველაფერს?

გოგი. ვერ გავიგე.

ქათინო. არ დაგხვდათ, აი, არ არის!  
(ავტოს.) ხომ არ არის? რამდენი უნდა?

გოგი (მიხვდა). ჰო-ჰო-ო... არა, არ გამოვა!

აპთო. ამაზე ისეთი ამბავია ატეხილი!

ქათინო. ხუთასი!

გოგი. არა, არა!

ქათინო. მოხვედით და არ დაგხვდათ!  
თქვენი ძმა არ არის? ერთანეთის მაზი არ უნდა დაიპიროთ?! ხომ შეიძლება, ხვალ თქვენ ჩავარდეთ ამ დღეში! ათასი მანეთი!

აპთო. არა, არა!

გოგი. არ გამოვა!

გოგი. ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ...

აპთო. რას ამბობთ, ისეთი ბაზარია ატეხილი!

ქათინო (კარადიდან ფული გამოიღო). აი, ათასი მანეთი... ქვევით ჩადით, იქ დაელოდეთ... უკან მიჰყევით... თვითონ გამოცხადდება... რას კარგავთ?

აპთო. არ შეიძლება!

არჩილი. ნუ წამიყვანთ, ბიჭებო! ძალიან მიხდა თვითონ მივიდე.. ხომ იცით... მომეციო ამის საშუალება...

ქათინო. რა იცით... იქნებ, ხვალ თქვენ თვითონ...

გოგი. ყველაფერი გასაგებია, მაგრამ...

ქათინო. აჰა, ათას ხუთასი.. ჩადით და ქვევით დაელოდეთ...

გოგი. კი, მაგრამ...

აპთო. რომ მოტყუდეს?

ქათინო. ამას არა აქვს მნიშვნელობა... მთავარი ის არის, რომ აქ არ დაგხვდათ, არ მოსულა... ამას უნდა, თვითონ მივიდეს... ეს თქვენზე ადრე მივა იქ... ქვევით გელოდებათ ვინმე?

აპთო. არა!

ქათინო. ჰოდა, რა გინდათ! ხომ შეიძლება, ათი წუთის მერე მოსულიყავით.

გოგი. შეიძლება, კი.

ქათინო. ათ წუთში ეს აქ არ იქნებოდა!

აპთო. ახლა ხომ არის!

ქათინო. მაგაში გაქვით ათას ხუთასი! აჰა, ორი ათასი! ათასი შენ, ათასიც — შენ! მორჩა! ჩადით და ქვევით დაელოდეთ... უკან გაჰყევით... თქვენი კაცია... ესეც ხომ საქმეა?! გაუხსენი, გაუხსენი ხელეძი...

გოგი (არჩილს). ქალი კი არა, ვუღიანია ქათინო. საქმეზე!

გოგი. (ავტოს.) ა?

აპთო. რა ვიცო... აზრზე არა ვარ...

გოგი. თქვი რამე!..

აპთო. რა არ ჩამოვიდეს?!

ქათინო (შეგონებით). როგორ ვერ გაიგეთ, მთავარი ის კი არ არის, ჩამოვა თუ არა, არამედ ის, რომ შინ არ დაგხვდათ... ან როგორ დაგხვდებოდათ... ეს უკვე წავიდა, წავიდა, რომ თვითონვე გამოცხადდეს.

აპთო. ჰო, ისე სწორია, თუ გამოცხადდა, როგორ დაგხვდებოდა?!

ქათინო. აბა რა! წავიდა უკვე! (ფული ორივეს მისცა.) მოდი, მოდი, შეგხსენი.

გოგი. კარგით, აბა... ქვევით ვიქნებოფ (არჩილს ხელბორკილებს ხსნის.)

აპთო. მანქანაში გელოდებით.

ქათინო. ჰო, ჰო, მანქანაში! (ორივენი გავიდნენ, ქეთინომ კარი ჩაკეტა.) დამძალი ვაქრები, მე თქვენ გიჩვენებთ! (არჩილს). რატომ არაფერი მითხარი, რატომ დროზე არ გამაგებინე, საქმე თუ გასკდა... (მიჰყავს.) წამოდი, აქედან ისე გაიყვანო, რომ... საწოლი ოთახიდან აი, ამ ეზოში ჩახტები...

არჩილი. მოიცა, ქეთინო!

ქათინო. ვიშვარს ხომ ხედავ, იქ დგას ჩემი მანქანა. აი, გახადები, ნინიკოსთან წადი, სანამ მე არ მოვალ, ფეხი არ მოიცვალო. მე ყველაფერს მივხედავ.

არჩილი. არა, ქეთინო, მე უნდა წავიდე.

ქათინო. ნინიკოსთან, ნინიკოსთან!

არჩილი. მე უნდა გამოვცხადდე!

ქათინო (პაუზა. არჩილს ყურადღებით აკვირდება). რა მოგდის, არჩილ? სად უნდა მიხვიდე, ვისთან — უჩალებთან? არ იცნობ, რა ხალხიც არი?!

არჩილი. ცოდეა ვქენი და უნდა მივიდე.

ქათინო. მილიცა ეკლესია არ არის, რომ ცოდვები მოინანიო.. (სულ სხვა კილოთი.) წელან რატომ შაყირობდი, ცოლი თუ შევირთე, შენ შეგიერთავო?

არჩილი. არა, არა, არ ვშაყირობდი.

ქათინო. ასეთი შაყირის დრო გაქვს?

არჩილი. არა, არა.. რატომ...

ქათინო (უფრო მხნედ. ენერგიულად, გახალისებულიც კი). ნინიკოსთან, ნინიკოსთან!

არჩილი. ამ ბოლო დროს აქ რომ ვარ, ან ჩემს სახლში და ყველაფერ ამას შევუურებ, იცი, ვინ მენიშნება? მშვიერი და ტიტველი ავღანელი ბავშვები!.. გადაბუგული სოფლები... დასახიჩრებული სხეულები...

ქათინო. შენ რა — გააფრინე? რა დროს ავღანელი ბავშვები და სოფლებია... საქმეს მიხედე...

არჩილი. ამბობენ, ვინც ავღანეთიდან დაბრუნდა, ყველას ეგრე მოსდისო.

ქეთინო. ნინიკოსთან, ნინიკოსთან!

არჩილი. არა, ქეთინო, იქ მომავითხე, თუ მოგნატრო, იქ მოდი!

ქეთინო. შენ მილიციაში რა გინდა, შენ პიონერთა სასახლეში უნდა მუშაობდე, ბავშვებთან, ნინიკოსთან-მეთქი, გეუბნები, ნინიკოსთან!

არჩილი. ნახვამდის! (გაღის)

ქეთინო (სკამზე უილაჯოდ დაეშვა). ღმერთო... ერთხელ ერთმა თქვა და ისიც ციხეში წავიდა!

დაბნელება.

9.

ავანსცენაზე აბესალოში და ბიძინა მოდიან. ბიძინა. რა ჰქნა ეს, რა გააკეთა! მაგას ჭკუა ჰქონია? ვისი გულისთვის! ნაღდი ქაჯი არ ყოფილა? ვინც ეგ რაიკომის მდივანად დასვა, იმნი...

აბესალოში. ვიზე ამბობ?

ბიძინა. ჩხარტიშვილზე!

აბესალოში. ჰოო... მეც გავიგე. რა მიზეზით ათავისუფლებენ?

ბიძინა (იციანს). მაგას რა მნიშვნელობა აქვს, თუ დასჭირდათ, ისეთ მიზეზს მოიგონებენ, რომ...

აბესალოში. მაინც რაო?

ბიძინა. მუშაობაში დაშვებული სერიოზული და უხეში შეცდომებისათვისაო.

აბესალოში. რა ამბავია!

ბიძინა. აბა!

აბესალოში. როგორ მეცოდება ეგ ბიჭი, რა კარგად დაიწყო და...

ბიძინა. შტერი ყოფილა, ვისი გულისთვის, რატომ! რისთვის! დაჯე, რა, ჭამე, სვი, იკაიფე, იგრიალე წყნარად, შენთვის. რა გინდა, საღ გარბიხარ, ვის უხტები... მართლა არ დაიჭერა ამ პერსტროიკობანას თამაში?

აბესალოში. ასე ლაპარაკი არ შეიძლება, ბიძინა. ახლა დიდი საქმეები კეთდება. მართლა დიდი ამბავი წამოიწყეს, ძალიან დიდი!

ბიძინა. კი ბატონო, ჩვენ რა გვაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ, ხომ უნდა იცოდე, ვის უხტები და რატომ, რისთვის? ჩვენი ბიჭები რომ სანიკიძის ასაყვანად მოსულან, ამან მოუტეხია თურმე! არ გაგიჟდები?! რაიკომის პირველი მდივანი რომ კაცს არ დაგაჭერინებს.

აბესალოში. რა კარგი ბიჭი იყო, რა ჭკვიანი! ეგ ამბავი ცუდად გაიგო ხალხმა — სანიკიძის დანიშვნა იმიტომ უნდოდა, რომ პირდაპირ აეღო ფულიო. წარმოგიდგენია? რას არ იტყვის ხალხი!

ბიძინა. ეგეც იქნება! ხალხს ტყუილი როდის უთქვამს...

აბესალოში. მე მაინც არ მჭერა ეგ ამბავი... იქნება ვცდები, მაგრამ არ მჭერა და, რა ვქნა!

ბიძინა (სულ სხვა ხმით, საიდუმლოდაც კი). კი მაგრამ, ახლა ამ შტერმა რომ პირი დააღოს და ილაპარაკოს, ჩემთან იმიტომ მოჰქონდათ, რომ ამისა და ამისათვის მიმეცაო? მე გამანაწილებელი ვიყავო?

აბესალოში. აბა, რატომ ჰყავდა ჩხარტიშვილს კაბინეტში? მაგისთვის! შენ რა გგონია სწორედ ეგრე დაარჩია! და აგრეც იტყვის.

ბიძინა (შეშფოთებული). მერე?

აბესალოში. რა მერე?

ბიძინა. ჩვენ რა უნდა ვქნათ?

აბესალოში. რა უნდა ვქნათ და არაფერი! შენ გგონია, ხალხი ვერ გაარჩევს მართალს და ტყუილს? აბა, რატომ არის ორგანოები!..

ბიძინა. მაინც... ხომ იცით... სჯობია, თუ არ იტყვის...

აბესალოში. ვნახოთ, ვნახოთ. ვაშალოშიცმე და გიორგაძემ, რაო?

ბიძინა თავისი ხალხი მივუყვანე, კარგა ხანს ვლაპარაკე, ყველაფერი კარგად იქნებო! აბესალოში. რატო უნდა იჯდეს ეს ხალხი ციხეში, რისთვის, რა დააშავეს ასეთი... ხო აღარ არი უკვე ეს ჩხარტიშვილი... ზვალ-ზეგ აღარ იქნება... აბა, კარგი, წავედი მე!..

ბიძინა. ნახვამდის. (მოწიწებით ემშვიდობება, სხვადასხვა მიმართულებით გაღიან).

10.

სცენის სიღრმეში ქეთინო გამოჩნდა. მოუთმენლად ელოდება ვიღაცას. მანქანის კარის დახურვის ხმა რომ გაიგონა, ავანსცენისკენ გამოემართა. შემოდის აბესალოში.

ქეთინო. როგორც იქნა!

აბესალოში (როგორც ჩანს, ქეთინოს დაჟინებამ აიძულა აქ მოსვლა, საუბრის თემაც ნაცნობი უნდა იყოს და ამიტომ ცდილობს მოკლედ მოქრას). გისმენ!

ქეთინო. მე გისმენ, შენ ყველაფერი იცი!

აბესალოში. ახლა რაღა დროის ლაპარაკია! სრ მოსულიყო, არ გამოცხადებულყო, ვინ მოხდევდა!

ქეთინო. შენ მოხდევდი, შენ არ ახვენებდი, შენ არ გამოგზავნე ბიჭები! ისე დაადეს ბოროტი, როგორც უჩაღს.

აბესალოში. ასე იყო საჭირო!

ქეთინო. ახლა?

აბესალოში. არ ვიცი!

ქეთინო (ჩაძიებდა). ახლა რა არის საჭირო?

აბესალოში. არ ვიცი-მეთქი.

ქეთინო (წამოუნთო). რა არ იცი, რა! აბესალოში (ხაზგასმით). არ ვიცი.

ქეთინო. გინდა ისევ ამირიო ცხოვრება! (შეგონებო, თითქმის ბრძანების კილოთი).

ბურაბ ბათიაშვილი  
რეჟისის კამელი



არჩილი უნდა გამოვიდეს, აბე! ძალიან მალე უნდა გამოვიდეს!

**აბასალომი.** შენ იცი, რა მოინდომა? იცი რაზე გაიჭაჩა?

**ქათინო.** არ ვიცი და არც მანტერესებს. აქ ამომივიდა თქვენი საქმეები, აბე, ყელში!

**აბასალომი.** მე ვიცი და ამიტომ გეუბნები — ეგ საქმე შეუძლებელია!

**ქათინო.** შენ ყველაფრის გაკეთება შეგიძლია!

**აბასალომი.** ეგ ვითომ საიდანაო!

**ქათინო** (ბრაზით ახლავს მის ნათქვამს). მთელი ხუთი წელი, ხომ კარგად ვახსოვს, რა ხუთი წელი. უხმაუროდ, ოსტატურად იგრილად ჩემთან, მერე ტექნიკურად გადაშაწვინე არჩილის ლოჯინში. თვითონ კი ისე მოტყუდი, რომ მეც ვერ მოვედი გონს! მხოლოდ ერთი თვის მერე მივხვდი: თურმე არჩილის საყვარელი გამხადე. შენ კი საღაღაც, შორს, შორს წახვედი... ისე შორს დადექი, რომ დანახვაც არ შეიძლებოდა, შენი... მე კი იმ ხუთ წელიწადში მიგეჩვიე.

**აბასალომი.** მე მომეჩვიე და სიყვარულობანს თამაში არჩილს დაუწყე!

**ქათინო.** შენ ხომ ასე მოინდომე!

**აბასალომი.** მოღალატე!

**ქათინო** (გაფრობილების კილოთი). შენ ასე მოინდომე!

**აბასალომი.** ლალატისათვის რა გეკუთვნის?

**ქათინო.** ჭერ მომტეხე და ახლა მიბერავ?

**აბასალომი.** ლალატისათვის რა გეკუთვნის-მეთქი!

**ქათინო** (ბრაზით შესძახა). აბე! (აბესალომმა ხმა გაკმინდა, ხმადაბლა.) ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. არ გვინდა! (პაუზა.) არჩილი უნდა გამოვიდეს.

**აბასალომი.** რატომ, რისთვის?

**ქათინო.** მე მჭირდება!

**აბასალომი.** ძალიან ძნელია.

**ქათინო.** თუ შენ მოინდომებ, არ არის ძნელი.

**აბასალომი.** არ ვიცი, არ ვიცი.

**ქათინო** (გალიზიანებული). ეგ პასუხი არ არის.

**აბასალომი.** ჭერ ვერაფერს გეტყვი.

**ქათინო** (დაძაბული). რატომ?

**აბასალომი.** იმიტომ, რომ ჭერ არაფრის თქმა არ შემიძლია. იმიტომ რომ ეს არ არის აუცილებელი, იმიტომ რომ ის, რაც იმან მოინდომა, ყველა კანონით ისჯება: ჩემი კანონით, ქვეყნის კანონით, ქურდების კანონითაც კი ისჯება ასეთი რამ!

**ქათინო** (მუქარით). ფეხზე მკიდა ეგ თქვენი კანონები! მე ჩემი ცხოვრება მინდა და ეს არის მთავარი!

**აბასალომი.** რა ამბავში ხარ! რა გაახურე!

**ქათინო** (სახეზე იქედნურმა ღიმილმა გა-

დაურბინა). აბე, არ გადავიწყდეს, რომ შენ დღესაც ადრინდელი კარტებით თამაშობ და ზოგი კარტის მეორე ნახევარი მე კიდევ მიჭირავს ხელში!

**აბასალომი** (გაელიმა, სახეზე ისე მოუსვა ხელი, როგორც პაწიას). აუვნა მომინდომე, ფისო?

**ქათინო** (პაუზის შემდეგ). მე ჩემი ცხოვრება მინდა, მეგონა, ამას მიხვდებოდი (გესლიანდა.), ადამიანს სიბერე ტკბილი უნდა ჰქონდეს! (პაუზა.) არაფერი შეგეშალოს, აბე, და, არ ჩაიჭრა! (მიღის).

**აბასალომი** (სინანულით შესცქერის ქალის მოხდენილ სხეულს). ქეთი! (ქეთინო მობრუნდება. მაცდური ღიმილით შესცქერის აბესალომს, რომელიც ნელი ნაბიჯით უახლოვდება.) როგორა ხარ, ქეთი?

**ქათინო** (დაღლილი). ცუდად, აბე! ყელში ამომვიდა ყველაფერი... აღარ შემიძლია... დავიღაღე... უკვე დავიღაღე.

**აბასალომი.** მერე რად გინდა ეს ამბავი, რისთვის გჭირდება?

**ქათინო.** შენ აზრზე არა ხარ, ისე მჭირდება... (პაუზის შემდეგ.) ამიტომ გთხოვ... ერთი შენებურად დაამხეცე!

**აბასალომი** (ნდომის წყურვილით შესცქერის ქალს). წამოდი, მაღლა ავიდეთ!

**ქათინო** (უარის ნიშნად თავი გააქნია). არა, აბე!

**აბასალომი.** მთელი საღამო თავისუფალი ვარ.

**ქათინო** აბე! (პაუზა. ფიქრობს თქვას თუ არა.) შეიძლება ცოლად შემირთოს.

**აბასალომი:** (გაოცებული) ცოლად შეგიერთოს?

**ქათინო.** ჰო, აზრზე ხარ? გაკეთე ეს საქმე ჩემი გულისთვის! (აბესალომს ალერსიანად გაუღიმა, ლოყაზე ნაზად აკოცა და გავიდა).

**აბასალომი** (კვლავ სინანულით, გულდაწყვეტილი შესცქერის მიმავალ ქეთინოს.) შეიძლება. ყველაფერი შეიძლება...

**ქათინო** (მობრუნდა). ჰო, მართლა. გუშინ, არჩილის წახაყვანად რომ მოვიდნენ, შენ ბიჭებს ფული ვასესხე, ზვალ მომითანონ.

**აბასალომი** ასესხე? (იღიმება.) რამდენი?

**ქათინო.** ორი... არა, სამი, ზვალ დამჭირდება. აბა, შენ იცი! (ხელს უქნევს და გადის). დაბნელება.

11.

აბესალომი არაერთხელ გვინახავს ასეთ პოზაში. სავარძელში ისე გადაწოლილა. გეგონებათ, სძინავსო. სინამდვილეში კი ფიქრობს, გონებაში ათას რამეს სწონის. ბიძინა უხმოდ დგას მის წინ.

**აბასალომი.** ბატონ გიორგისთან? იქ თუა

რამე სასიკეთო? დარწმუნებული ხარ, რომ მართალს გეუბნებიან?

ბიძინა. არა, ეგენი მე ვერ მაჭმევენ.

აბასალაშვილი. კარგი, აბა! (ძალიან ნელა, ხანტად გაიშვებს ხელს ტელეფონისაკენ, ასევე კრფის ნომერს და ამგვარი მოძრაობისათვის ერთობ შეუფერებელი ომახიანი ტონით დაიწყებს საუბარს.) გამარჯობათ, ბატონო გიორგი! მე გახლავართ, კი... ყურები უნდა აგვიწიოთ და დავგაგლიჯოთ კიდევ, ახლა ვხედავ, რამდენი ნაკლი გვაქვს მუშაობაში... მართლა არ შეიძლება ასე.. ვიცო, ამ საქმის გამო თქვენს მადლობას არ დავიმსახურებთ, მაგრამ... ვაშალოშიძის და გიორგაძის თაობაზე მოგახსენებთ.. კატეგორიულად სვამენ საკითხს... აღწერა ტენდენციურად იქნა ჩატარებული, ჩვენთან ყველაფერი რიგზეა და ეს ამბავი ჩავგვიწყვესო.. მე... ვითომ მე ვებრძვი წესიერ ხალხს... რა ვიცი... მართალი ხართ, სხვა დროა, ყველაფერი იცვლება და, რაც მთავარია, მუშაობის სტილი.. კი, ბატონო... ჰო, ეკვათიცი... მსოფლიოში გზავნიან ხალხს... თვითნებობას ჰქონდა ადგილიო... ჩემი აზრი? არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით... არა, რასაკვირველია, არა, მაგრამ რატომ არ უნდა მივცეთ ხალხს უფლება!.. ოცდაჩვიდმეტი წელი ხომ არ არის?! კი, ბატონო, კარგი, როგორც თქვენ გვიბრძანებთ... (ყურმილი დადო, კვლავ სავარძელში გადაწვა. პაუზის შემდეგ.) ყოჩაღ, მართალი უთქვამს იმ ხალხს, რას ერჩი!

ბიძინა. არა, ისინი მე არ მომატყუებენ!

აბასალაშვილი. კა-ა-არ-გი, ძა-ლი-ან კა-რ-გი. აბა, ახლა... (კვლავ ყურმილს დასწვდა, აიღო.) გამარჯობათ, ნიკოლაევიჩი! ხომ ვყოფილვარ მე მართალი, ხომ სწორად გამიგია ჩხარტვილის ამბავი, ხომ ვიცდელი კაბინეტს!.. ასეა, ასე... ისე კი მეწყინა, არ უნდა მოსვლოდა ასეთი შეცდომა, ჭკვიანი ბიჭი იყო... ახლა ერთი ასეთი საკითხია... მინისტრის მოადგილეს შევუთანხმდი უკვე, მაგრამ უთქვენოდ სხვა რა გამოიკეთებია.. აი, გიორგაძისა და ვაშალოშიძის საჩივრის გამო... ააწრიალეს ქვეყანა... ჩხარტივილია მოგვიწყო ეს ამბავიო... ჩვენი ჯინი ჰქონდაო... ხომ იცით... სხვა დროა, კი, ბატონო, ასე ვწნათ და ეს არის!.. რასაკვირველია, მაზრახობლები ხომ არა ვართ... ოცდაჩვიდმეტი წელი ხომ არ არის!.. არა, არა, ძალიან მტკიცედ, სასტიკადაც კი უნდა შემოწმდეს ყველაფერი!.. ხელახალი აღწერა ყველაფერი გვაჩვენებს.. კარგად ბრძანდებოდეთ! (ყურმილი დასდო, კვლავ სავარძელში გადაწვა.) მართალია ეს ხალხი, ახლა სხვა დროა, თუ სიტუცა არ ათქმევინე, თავდაცვის საშუალება თუ არ მიეცე, რის გარდაქმნა, რა გარდაქმნა, ასეც უნდა იყო! ეხენი თანახმანი არიან, ჩვენ რა უნდა გვქონდეს საწინააღმდეგო. ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოს ვა-

შენებთ. ყველაფერი უნდა შეიცვალოს, ყველაფერი.

12.

დაკითხვების ოთახი.  
მთელი ეს სცენა, სანამ არჩილი დაწყებდეს თავის ალიარებას, ტარდება, როგორც ერთგვარი ინტერმედია, საკონცერტო ნომერი, რაც ტექსტისადმი, სიტუაციისადმი ირონიულ დამოკიდებულებაში უნდა გამოიხატოს. ერთი შეხედვით ესოდენ საპასუხისმგებლო ეპიზოდი თამაშდება, როგორც ფარსი.

გამომძიებლის წინ ვაშალოშიძე ზის.  
გამომძიებელი. ამ აღწერის მიხედვით თქვენნი ფაბრიკა მოწინავეც კია.

ვაშალოშიძე. ყოველთვის ასე იყო. გემებს გადაპარბებით ვასრულებდით, გასულ ხუთწლედში ორი მუშა შედგებით დააჩილდოვებს, საკავშირო დროსაც მივიღეთ. ყველა მაჩვენებლის მიხედვით...

გამომძიებელი. კი მაგრამ, რით ახსნით იმას, რომ პირველი აღწერისას ასეთი სერიოზული დატაცება აღმოჩნდა?

ვაშალოშიძე. ეს ტენდენციური აღწერა იყო. მე მთელი ქალაქი მიცნობს, პატივს მცემს... ამას ყოველთვის არ გაპატიობენ, მოინდომეს ჩირქი მოეცხთო პატიოსანი და ენერგიული კაცისათვის. მაგრამ სიმართლე არასოდეს იკარგება... მეორე აღწერამ გამოავლინა, რომ ფაბრიკაში ყველაფერი რიგზეა, ერთი კაპიციც კი არ არის დატაცებული.

გამომძიებელი. რატომ პირველი აღწერილისას არ გამოჩნდა, რომ ყველაფერი სწორად იყო?

ვაშალოშიძე. ერთი საწყობი საერთოდ არ გახსნეს. ისე იყვნენ დანტერესებულნი, მე ვავეშავებინეთ, ამაზეც კი დახუჭეს თვალი!

გამომძიებელი. სანიკიძის თაობაზე რას იტყვით?

ვაშალოშიძე. ვინ არის სანიკიძე?

გამომძიებელი. კაპიტანი სანიკიძე. თქვენ პირველ დაკითხვაზე აღიარეთ, რომ სანიკიძეს ყოველთვის ურად აძლევდით...

ვაშალოშიძე. საერთოდ არ ვიცნობ ასეთ კაცს. მე პირველ დაკითხვაზე ისე ვიყავი დაბნეული, დატაცების აქტსაც კი მოვაწერე ხელი.

გამომძიებელი. მაშ, აღიარებთ, რომ სანიკიძეს ქრთამს არ აძლევდით?

ვაშალოშიძე. არ ვიცი, ვინ არის სანიკიძე და ქრთამს როგორ მივცემდი?

დაბნელება.  
გამომძიებლის წინ გიორგაძე ზის.

გამომძიებელი. ამ აღწერის მიხედვით, თქვენი საწარმო მოწინავეც კია.

გიორგაძე. ჩვენთან მულამ გადაპარბებით სრულდება გვემები. გასულ წელს მუშები და



ინფინიტები მედღებითა და ორდენებით დაა-  
ჯილდოვებს. საკავშირო შეჯიბრებაშიც გავიმარ-  
ჯვეთ. ყველა მაჩვენებლის მიხედვით მოწინა-  
ვეთა რიგებში ვიყავით.

**ბამომძიმებელი.** რით აიხსნება ის, რომ პი-  
რველი აღწერისას ასეთი სერიოზული დატა-  
ცება აღმოჩნდა?

**ბიორბაძე** (იციანის). ეგ იოლი ასახსნელია!  
ახლა ჩვენში მოღაშია საპატიო ადამიანთა გა-  
შავება (ლიმილი). ხომ ხედავთ, სტალინს რას  
უშვებთან და მე ვინა ვარ. ამას გარდა... ამას  
გარდა... არ ვიცი ეს ვთქვა თუ არა, მაგრამ, აღ-  
ბათ. მაინც უნდა ვთქვა — რაიკოშს და მის  
პირველ მდივანსა არაჩანსალი პოზიცია ეჭირა  
საწარმოს მიმართ. პირველი მდივანი ტენდენ-  
ციური იყო, მაგრამ, ხომ ნახეთ, როცა საქმეში  
კომპეტენტური ორგანოები ჩაერვივნენ და ობი-  
ექტურად შეისწავლეს ყველაფერი...

**ბამომძიმებელი.** სანიკიძეს რამდენს აძლევ-  
დით თვეში?

**ბიორბაძე.** უკაცრავად, ვერ გავიგე, ვისზე  
მეკითხებით?

**ბამომძიმებელი.** სანიკიძეზე.

**ბიორბაძე.** სანიკიძე ვინ არის?

**ბამომძიმებელი.** მილიციის კაპიტანი სანი-  
კიძე.

**ბიორბაძე.** არ ვიცნობ, პირველად მესმის.  
საერთოდ არ გამიგია ეს სახელი.

**ბამომძიმებელი** აი, აქ (ქალაქები გაშა-  
ლა.) თქვენ აღიარეთ, რომ სანიკიძეს ყოველ-  
თვიურად აძლევდით...

**ბიორბაძე.** თუ თქვენ გინდათ, რომ პატი-  
ოსან კაცს სახელი გავუტუნო, კი, ბატონო, ვი-  
ტყვი, თორემ ასეთ ადამიანს საერთოდ არ ვი-  
ცნობ.

**ბამომძიმებელი.** პირველ დაკითხვაზე რა-  
ტომ თქვით?

**ბიორბაძე.** აღბათ, იცით, რას ნიშნავს, რო-  
ცა პატიოსან, ქალაქში ცნობილ კაცს საქვე-  
ყნოდ თავს მოგჭირიან და აქ მოგიყვანენ? არ  
იცით! აი, როცა ამას გამოხსცდით, შაშინ იქ-  
ნება ისიც თქვათ, ამერიკის პრეზიდენტს ვაძ-  
ლევდით ქრთამს.

**ბამომძიმებელი.** ასე ჩავწეროთ ოქმში?

**ბიორბაძე.** როგორც გინებოთ.

დაბნელება.

იგივე ოთახი. გ-შემიძებელი, ვაშალომიძე,  
გიორგაძე.

**ბამომძიმებელი** (კარი გამოაღო). შემოუშ-  
ვით! (შემოდის არჩილი, ვაშალომიძეს) მითხა-  
რით — იცნობთ თუ არა ამ კაცს?

**ვაშალომიძე** (სათვალე გაიკეთა, ყურად-  
ღებით აყვირდება არჩილს). არა, ბატონო.

**ბამომძიმებელი.** კარგად დააკვირდით და  
გაიხსენეთ, გინახავთ თუ არა იგი?

**ვაშალომიძე** (პაუზის შემდეგ). არა, ეს კა-  
ცი მე არ მინახავს.

**აბესალომი** (შემოდის. კუთხეში დაჯდება).  
განაგრძეთ, განაგრძეთ!

**ბამომძიმებელი.** თქვენ ამბობთ, რომ ეს  
კაცი არასოდეს გინახავთ?

**ვაშალომიძე.** დიახ, მე ეს კაცი, არასოდეს  
მინახავს.

**ბამომძიმებელი** (გიორგაძეს მიუბოუხდა).  
თქვენ საიდან იცნობთ ამ კაცს?

**ბიორბაძე.** არ ვიცნობ, არ მინახავს.

**ბამომძიმებელი.** მე გთხოვთ კარგად დაა-  
ვირდეთ.

**ბიორბაძე.** ვაკვირდები, მაგრამ ვერ ვცნობ,  
ბატონო!

**ბამომძიმებელი.** არასოდეს გინახავთ?

**ბიორბაძე.** მე ეს კაცი არასოდეს მინახავს.

**ბამომძიმებელი.** თქვენ, ორივემ პირველ და-  
კითხვაზე აღიარეთ, რომ კარგად იცნობთ არ-  
ჩილ სანიკიძეს და ყოველთვიურად აძლევდით  
ქრთამს, რომ მუშაობაში ხელი არ შეეშალა,  
სათანადო ორგანოებში დამალა, თუ რას და  
როგორ აკეთებდით.

**ვაშალომიძე.** არც კი მახსოვს, როდის  
ვთქვი ასეთი სისულელე, მაგრამ არ მივიკრს  
— ისეთი დაბნეული ვიყავი, შესაძლოა, ასე-  
თი რამ წამოშვდა.

**ბიორბაძე.** სწორია! გაუგებრობაა! მე სა-  
ნიკიძე არასოდეს მინახავს.

**აბესალომი.** როგორ არ გრცხვენიათ! თქვენ  
ხომ პატარა ბიჭები არა ხართ! ცილი დასწა-  
მეთ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ერთხელაც  
კი არ მოუცხია ჩირქი ორგანოს მუშაის მწვა-  
ნე მუნდირისათვის. მე კარგად ვიცნობ სანი-  
კიძეს. იგი ჩემი თანამშრომელია და შევეცდე-  
ბი ორგანიზაციებმა, რომლებშიც თქვენ მსა-  
ხურობთ, მთელი სიმკაცრით იმსჯელონ თქვე-  
ნი ასეთი საქციელის გამო. კი, აღმოჩნდა, რომ  
თქვენთან ყველაფერი რიგზეა, არ არის არავი-  
თარი კრიმინალი, მაგრამ აი, ასეთი ცილისმწა-  
მებლური ჯანცხადებების შემდეგ თვალბაში  
როგორ შეხედავთ ადამიანებს.

ვაშალომიძე და გიორგაძე მორცხვად დახ-  
რიან თავებს. სწორედ აი აქამდე გრძელდებო-  
და ერთგვარი საკონცერტო განწყობილება, რო-  
მელიც, როგორც ვთქვით, სიტუაციისადმი ერ-  
თობ ირონიულ, იქნებ, პაროდულ დამოკლდ-  
ბულეობაშიც კი გამოიხატებოდა.

**არჩილი.** ტყუილია!

**ბამომძიმებელი.** ვერ გავიგე?

**არჩილი.** ყველაფერი ტყუილია!

**ბამომძიმებელი.** რა არის ტყუილი?

**არჩილი.** მაძლევდნენ მე ესენი, მაძლევდნენ,  
რომ...

**ბამომძიმებელი** (ბრაზით). რა არის, სანიკი-  
ძე, ასეთი დაბნეული ლაპარაკი, ვის ეკადრება!  
განსაგებად თქვით რა გინდათ!

**არჩილი.** ესენი მე ყოველთვიურად მაძლევ-  
დნენ ქრთამს.

**ვახალოშიძე. ტუფილია!**  
**ბიორბაძე. არასოდეს!**  
**აბასალომი. დააცადეთ, ათქმევინეთ! ხომ**  
**ხედავთ, რა დღეშია ბიჭი!**  
**ვახალოშიძე (ყვირის). რა დავაცალო, სი-**  
**სულელეა. დემაგოგიაა! თქვენ გინდათ წესი-**  
**რი ხალხი ვააწავოთ!**

**ბიორბაძე. არა, არა, არა!**  
**არჩილი. ხად არიან, ხად არიან ის კაპიტა-**  
**ლისტები, რომლებიც აგროვებდნენ და ისევ**  
**ხალხს აძლევდნენ, ქალაქებს ქმნიდნენ, სოფ-**  
**ლებს, აგარაკებს, თეატრებს!**

**ვახალოშიძე. ააუბ!**  
**აბასალომი (არჩილს მოუახლოვდა, მკერდში**  
**ჩაიჭრა). რა მოგივიდა, ბიჭო, რა დღეშია ხარ,**  
**რა არის ეს... (გიორგაძეს და ვახალოშიძეს.)**  
**აი, ხედავთ, თქვენმა ცილისწამებამ რა უყო...**  
**ხედავთ...**

**არჩილი (აბესალომს თავი დააღწია). არა,**  
**არა, არა! მე ჩანართელი ვარ!**

**აბასალომი (ალერსიანი, მზრუნველი ხმით).**  
**შენ ხომ არავინ გერჩის! როდის იყო, ორგა-**  
**ნოს ჩანართელი მუშაკი ამბობდა, ქრთამს ვი-**  
**დებო. არ არსებობს!.. არ ყოფილა და არც**  
**იქნება ახეთი რამ...**

**ვახალოშიძე. კაპიტალისტები რა ხანია, აღ-**  
**არ არიან, შეიძლო!**

**ბიორბაძე. რაღა დროხია!**

**არჩილი. ვინ, ვინ ამოძირკვავს ჩვენს სუ-**  
**ლში ჩაბუდებულ ამ ავადმყოფობას, ჩვენი სუ-**  
**ლები ჰკვიან, ყვირიან, მაგრამ ირგვლივ მხო-**  
**ლოდ ველური დუმილია... ხად არის მსაჯუ-**  
**ლი, ვინ არის მსაჯული...**

**აბასალომი (გამომძიებელს). თქვენ მგონი,**  
**უკვე დაამთავრეთ!**  
**გამომძიებელი. თითქმის.**

**აბასალომი (შინაურული, მიმდობი ხმით).**  
**იცით, ალბათ, ავღანეთში იბრძოდა... იქ და-**  
**იჭრა და... მოგახსენებთ... თანაც თავში.. ეს**  
**კიდევ ისეთი რამეა. ახალგაზრდა კაცია, ზვალ**  
**შერცხვება კიდევ... თქვენთვის, მგონი, სურა-**  
**თი ნათელია და დამტოვებთ ამასთან მარტო,**  
**მამაშვილურად დავეკლამარაკები, დავამშვიდებ,**  
**თუ შეიძლება... თუ დაამთავრეთ უკვე, თო-**  
**რემ...**

**გამომძიებელი (ვახალოშიძეს და გიორგა-**  
**ძეს). თქვენს საქმეს კიდევ დასჭირდება რამ-**  
**დენიმე დღე. ახლა კი მიზარბადათ საქნებში.**  
**კართან გელოდებიან.**

**ვახალოშიძე (უკმაყოფილოა) რამდენიმე**  
**დღე?! (გაღის).**

**ბიორბაძე. გაგრაში ხომ არა ვართ, ცოტა**  
**დააჩქარეთ! (გაღის)**

**გამომძიებელი. ნახვამდის (გაღის).**

**აბასალომი (ერთ ხანს უხმოდ შესქვირის**  
**არჩილს. მერე დაუნდობლად დაარტყამს). შე-**  
**ნი დედა ვატირე, მე შენი შენ რა კონცერ-**

**ტებს მიწყობ აქ! (წაქცეული არჩილი წამოაყე-**  
**ნა, კვლავ ურტყამს:) ხად გგონია თავი დე-**  
**დას გიტირებ, შე მათხოვარო! (ურტყამს. და-**  
**ლაწართმეული არჩილი არავეითარ წინააღმდე-**  
**გობას არ უწყებს.) მე შენ გასწავლი ქუაბს! მე**  
**დაგაყენებ გზაზე... (წაქცეულ არჩილს დახედა.**  
**წამოაყენა, სკამზე დასვა.) აი, აქ დაქეპი! (კა-**  
**რი გამოალო.) ეი ვინ ხართ მანდ, პატიმარს**  
**მონედო, ცუდად არის! (გაღის, ბნელდება,**  
**მაგრამ დარტყმის ხმა თანდათან ძლიერდება.**  
**მერე იგი ჩვენთვის უკვე ნაცნობ ჩოგბურთის**  
**თამაშის ხმაში გადაიზრდება. ბურთი რომ ჩო-**  
**განს მოხვდება), თასმები თითქოს სიმღერას**  
**იწყებენ. სხვადასხვა კორტზე ჩოგნის მარჯვედ**  
**ცემა უფრო და უფრო ძლიერდება).**

ადრინი დილაა, მაგრამ ჩოგბურთის მოედ-  
ნებზე უკვე ჩამოწოლილა ზაფხულის სიცხე-  
დილის აღს ნოტიო მიწის, უფრო სწორად, მო-  
ედნებზე მოყრილი აგურის სველი ნაფჩხვე-  
ნების სიგრილე ანელებს. მოედანზე ორნი დგა-  
ნან — აბესალომი და გიორგაძე. ჩოგბურთე-  
ლთა კონსტიუმებში მორთულნი.

**ბიორბაძე. არ არის გადასარევი? ადრე ბო-**  
**ლშევიკები არაღელვალურად შეიკრიბებოდნენ,**  
**ქჟონდათ ერთი ამბავი, მაგრამ პოლიცია თუ**  
**გამოჩნდებოდა, უკვე სუფრას გაშლიდნენ და**  
**იწყებოდა ერთი ჰარამარალო. ასე არ იყო?**

**აბასალომი. კი, კი!**

**ბიორბაძე. ახლა სუფრას მიუხსნებიან, ქე-**  
**იფობენ, მაგრამ თუ ვინმე გამოჩნდა, პურ-მა-**  
**რილს მალავენ და ქაღალდებს დაიდებენ წინ.**  
**ეს არის საქმე?**

**აბასალომი (იციინის). რას იზამ.. უნდა და-**  
**ემორჩილო!**

აშკარაა რომ აბესალომი ვილაყას ელოდება,  
ამიტომ გიორგაძესთან საუბრისას მოედანს  
ხშირად მოაველებს ხოლმე თვალს, არავინ გა-  
მომეპარსო.

**ბიორბაძე. რატო, რისთვის, გამაგებინე, კაცს**  
**რომ გამარჯობა ვუთხრა...**

**აბასალომი (მას კი სხვა რამ აინტერესებს).**  
**ჩხარტიშვილს რა უქნია, თუ გავიგე!**

**ბიორბაძე. გავიგე? ვნახე კიდევ!**

**აბასალომი. როგორ?**

**ბიორბაძე. იქ ვიყავი, კაცს ველოდებოდი**  
**და იმ წუთში იქ აღმოვჩნდი.**

**აბასალომი. ხად იყო ეგ ამბავი?**

**ბიორბაძე. დიღობში. დიღობს ათის ნახევარ-**  
**ი იქნებოდა. ჩვენი ტრანსპორტის ამბავი ხომ**  
**იცო, თუ გაღირხა და მოვიდა, ისეა გაჭეჭვილი,**  
**რომ...**

**აბასალომი. ვიცი ვიცი...**

**ბიორბაძე. მზის ქვეშ იბრუებოდა ეს ჩვე-**  
**ნი ჩხარტიშვილი. მოვიდა ტროლეიბუსი ვერ**  
**ავიდა, მოვიდა მეორე, ვერც იქ შეჰყო ცხვი-**  
**რი. გადაქვიდილი იყო... კიბებს კიდო არ ჩამო-**



ეკიდა ეს ჩვენი ნამდვივარი კაცი! დგას ამ სიტყვში და სდის ოფლი!

**აბესალომი** (ივინს). ჰო, ჰო, ჰო!

**გიორგაძე**. ამ დროს გაჩერდა თეთრი „ნოლ-ექსი“ ნომერი არ მახსოვს.

**აბესალომი**. ორმოცი ორმოცდაორი?

**გიორგაძე**. ჰო, მგონი.

**აბესალომი**. მერე, მერე?

**გიორგაძე**. და ეს ჩვენი სანიკიძე არ გადა-  
მოხტა მანქანიდან? ჩხარტიშვილთან მიიბრინა  
და დაბრძანდითო, სიხოვა. მე ზურგი ვაქციე,  
არ მიხდოდა დავენახე. რა ვიცოდი, თუ ასე-  
თი რამ მოხდებოდა. მადლობო, უთხრა ჩხა-  
რტიშვილმა. დაბრძანდით, სადაც გნებავთ, იქ  
მივყავანო, უთხრა სანიკიძემ და ამას ისე-  
თი ხილა მოჰყვა, ისეთი ხილა თხლიშა ჩხა-  
რტიშვილმა, მგონი მთელმა დილომმა გაიგონა.

**აბესალომი**. შენ დაიხანე?

**გიორგაძე**. ზურგი ვაქციე-მეთქი, ხომ გი-  
თხარი, მაგრამ ხილის ხმა გავიგე თუ არა,  
მოვტრიალდი. მოვტრიალდი და რას ვხედავ...  
დგას ეს ჩვენი სანიკიძე ჩხარტიშვილის წინ  
თავჩაქინდრული, ხმაგაჟმენდილი და ლოყაზე  
საცოდავად მიუფარებია ხელი. მერე უხმოდ  
შეტრიალდა, ჩაქდა მანქანაში და მოუსვა.

**აბესალომი**. ჰო, ჰო, ჰო, რა იქნებოდა?

მაგრად სთხლიშა?

**გიორგაძე**. მთელი დილომი შეაწანაწარა.

**აბესალომი**. გამწარდა კაცი, მეცოდება....

გონიერი ბიჭი იყო და...

**გიორგაძე**. ახია, ახი მაგაზე!

**აბესალომი**. ლაყუა ეს ჩვენი სანიკიძე, თო-  
რემ უნდა დაეჭირა.

**გიორგაძე** (ივინს). დაეჭირა?

**აბესალომი**. ჰო, ახა? ფიზიკური შეურაც-  
ხყოფისათვის.

**გიორგაძე**. აუ, რა კონცერტი იქნებოდა!

**აბესალომი**. როგორ, ქუჩაში სილა გააწნეს.

**გიორგაძე**. რატომ დაიღუპა თავი, რისთვის?  
რო უხტებო, ვის უხტებო, რა გინდა! ჭამე რა,  
ხვი იგრიალდე, რა გაკლია? რომ იცოდე, წი-  
ნაც წავიდოდა.

**ჩხარტიშვილი** (დაინახა, ვისაც ეძებდა).  
აგე, აგე გამოვიდა! მიდი ერთი, გეძახიან-თქო.

**გიორგაძე**. იმას? ახლავე! (გადის).

ახლა აბესალომი არჩილს უნდა შეხვდეს. ამ  
შეხვედრისთვის ემზადება. ბურთს აიღებს. შო-  
რეულ კუთხეში დაარტყამს. ზომავს. დაარტყა  
ერთი, ორი, სამი. შემოდის არჩილი.

**აბესალომი**. ობ, გაუმარჯოს! სად დაგვეკა-  
რგე, სამსახურში არ გამოიხიარ? ბიულეტენი  
კიდევ არ დახურე? (არჩილი უხმოდ შესცქე-  
რის.) ახლა ხომ უკეთ ხარ! (შეცვლილი ხმით.  
რბილად.) ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.  
უნდა გაუძლო, ისე არაფერი გამოდის დღეს.  
კარგია, აქ რომ დადიხარ — ახლა შენ სუფ-  
თა ჰაერი და ფიზიკური ვარჯიში გინდა. ახა,  
მიდი ერთი, დადექი, ვურტყათ ცოტა! კიდევ  
მაქვს ათი-თხუთმეტი წუთი. მიდი, მიდი აგე,  
ჩოგანი! (აბესალომი ჩოგანს აწვდის. არჩილი  
ნელი, მაგრამ თავის ძალაში დაჭერებული კა-  
ცის ნაბიჯით მიდის ხაზთან. დადგა და ბურთის  
დასარტყმელად მოემზადა. მის სახეზე აშკა-  
რად აღიბეჭდება ის, რომ ეს მხოლოდ ბურთის  
დარტყმა არ არის მისთვის, მტრული გამოხედ-  
ვა, თვალეზში ჩამდგარი რისხვა, აბესალომაც  
კი შეამჩნია და შეკრთა. არჩილმა ძლიერ და-  
არტყა ბურთი, ისე ძლიერ, რომ აბესალომმა  
არა მარტო ბურთის ადგა ვერ მოასწრო, არა-  
მედ სახეც კი აარიდა. რადაც არჩილი სწო-  
რედ სახეში უმიზნებდა. ასეთივე ძლიერი გა-  
მოდგა მეორე დარტყმაც. აშკარაა, რომ არჩილი  
მთელი ძალით, ენერგიით ურტყამს). არჩილ,  
რა მოხდა?

არჩილმა არაფერი უპასუხა. ჩოგანი დასა-  
რტყმელად შემართა, დაარტყა კიდევ ბურთი.  
ეს დარტყმა უფრო ძლიერი გამოდგა, მაგრამ  
სულაც არ იყო გამიზნული იმისათვის, რომ  
მოედანზე დავარდნილიყო — ესეც სახეში უნ-  
და მოხვედროდა აბესალომს. აბესალომმა მკვე-  
თრი მოძრაობით აიცილია ბურთი და არჩილი-  
საკენ გაემართა. ბადეს მიუახლოვდა. არჩილიც  
მის შესახვედრად წამოვიდა. ორივენი ბადეს-  
თან დადგნენ. უკვე არაფერი არ არის შეფა-  
რული. მათს მხერაში მტრობა იკითხება, მაგ-  
რამ აბესალომის ხმაში ირონიაც გამოსკვევის,  
— მოძულე კაცის ირონია.

**აბესალომი**. რაო, ჩემო ბიჭო, დაიხადე?

**არჩილი** (ხმადაბლა, თითქმის კბილებში გა-  
მოსტრა). თუ თქვენ ერთ კვირაში, გიმეორებთ,  
ერთ კვირაში, არ გადადებთ, მე სულ სხვა-  
გვარად დავარტყამ. (ჩოგანს ფეხებთან მიუგ-  
დებს). მე ერთ კვირაში დავბრუნდები.

სახტად დარჩენილი აბესალომი დიდხანს შე-  
პყურებს მიმავალ არჩილს. პირზე ირონიული  
ღიმილიც მოადგა, მაგრამ უმწეობაც იკითხება  
ამ ღიმილში.